

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 26 აპრილი. 2024 წელი №51 (9731) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

### სიტყვითმკვლელები ევროპიდან!..

## ცრუ, ყალბი, მიკერძოებული ვენდეტა კორუმპირებული ევროპარლამენტისგან!





### სხვაგვარად ვერ შეაფასებ ევროპარლამენტის საქართველოსთან დაკავშირებულ რეზოლუციის პროექტს

ევროპარლამენტმა, 425 ხმით 30-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა ხუთი საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარდგენილ ერთობლივ რეზოლუციას „საქართველოში უცხოელი აგენტების კანონის ხელახალი შემოღების მცდელობებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვების შესახებ“.

რეზოლუციის პროექტი გუშინ გახდა ცნობილი. ამასთან, დღევანდელი კენჭისყრის დროს გუშინ გავრცელებულ რეზოლუციის პროექტს რამდენიმე შესწორება დაემატა, რომელიც ინიცირებული იყო ევროპარლამენტარების, ანა ფოტიგასა და ურმას პაეტის მიერ.

იხ. 6-7 გვ.

### დღის ციტატა



### კლერ დეილი:

## რატომ ერევით საქართველოს შიდა საქმეებში?

**ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაითავისოს, რომ არის ძალიან დიდი წყვეტა ევროპარლამენტის ხელმძღვანელობასა და ევროპის მოსახლეობას შორის,** – ამის შესახებ „დღის ქრონიკის“ ეთერში ევროპარლამენტარმა **კლერ დეილიმ** განაცხადა, რითიც ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია შეაფასა.

**„ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობა ვითარებას ხედავს ისე, როგორც მე, ხოლო ხელმძღვანელობა ამას ასე არ ხედავს. სიმართლე არის ის, რომ კანონმდებლობა, რომელიც საქართველოს შემოაქვს, არის ამერიკაში, ევროპის მრავალ ქვეყანაში. რატომ არის ასეთი აღშფოთება ევროპარლამენტში? ჩემი აზრით, მათ უფრო აინტერესებთ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა და შიდა საქმეებში ჩარევა და არა ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები, რომელზეც საუბრობენ. ეს არის ხელების გადაგრეხვა. ისინი ლაპარაკობენ უცხოურ ჩარევაზე და თვითონ ერევიან დემოკრატიულ პროცესებში საქართველოში“.**

## ტოლი ნახეთ და კოჭი ისე გააგორეთ!



(10)

### ანუ ფორსმაჟორში ჩატარებული მასტერკლასი

### ...როცა ქვეყანას ამდენი მოღალატე ჰყავდა!

## ვინ არის დამნაშავე?

(5)





### დიდი ევროპის გასაგონად!

## საქართველოს შეუძლია, ევროპას აგენტოკრატიისგან თავის დაღწევაში დაეხმაროს!

(3)

„ხალხის ძალა“: როგორც შარშან გავხადეთ იძულებული, მოეცათ კანდიდატის სტატუსი, წელს თუ არა გაისად ზუსტად ასევე მოუწევთ, გაგვიხსნან მოლაპარაკებებიც!..

## რადიკალური პოლარიზაცია, სიძულვილის ენა და ურთიერთმიუღებლობა ანგრევს ერთიან ქართულ ცნობიერებას

(4)

„საზოგადოება ქართულის“ განცხადება

# სიმართლეს ვერავინ დაემალება...




## საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის სიტყვით გამოსვლა „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების“ კონფერენციაზე

# ქვეყნებისა და ერების იდენტობის პრობლემა ყველაზე მეტად ევროპას და ამერიკას აწუხებს!

**პრემიერ-მინისტრო ორბან, პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო, ჩემთვის დიდი პატივია, რომ მაქვს შესაძლებლობა, კონსერვატიული პოლიტიკური ინიციატივის კონფერენციაზე თქვენ წინაშე წარვდგე და კონფერენციის უაღრესად პატივსაცემ მონაწილეებს მოგმართოთ.**

50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც კონსერვატიული პოლიტიკური ინიციატივის პირველი კონფერენცია გაიმართა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ბრძოლას ტრადიციული ღირებულებების დასაცავად.

თუმცა, ბოლო პერიოდში განვითარებული და მოსალოდნელი გლობალური პროცესები გვიჩვენებს, რომ კიდევ უფრო გასაძლიერებელია ძალისხმევა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ეროვნული იდენტობის დასაცავად.

მსოფლიო წესრიგი დღეს მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. საერთაშორისო გარემო იცვლება და ამ გამოწვევებთან გამკლავება კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს. ერთად მუშაობით, ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოვლენების დადებითი მიმართულებით განვითარებას ჩვენი საერთო ღირებულებების დასაცავად.

ამიტომ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ დღევანდელი კონფერენციის ორგანიზებისთვის, რომელიც გვთავაზობს ღირებულ პლატფორმას ჩვენი საერთო პერსპექტივების განსახილველად.

მამული, ენა და სარწმუნოება – ეს არის სამი მთავარი საყრდენი, რომელიც ქმნის საქართველოს ეროვნულ იდენტობას IV საუკუნიდან, როდესაც საქართველომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ისტორიულად, ჩვენს პატარა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე და ამაყ ქვეყანას იმპერიების გზაგასაყარზე უწევდა არსებობა. საუკუნეების განმავლობაში, ქართველები იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ საკუთარი სამშობლოს, მამულის დასაცავად.

საუკუნეების მანძილზე, ქართველები ერთგულად იცავდნენ საკუთარ ენას. ბოლოს, 1978 წელს ჩვენი მშობლების თაობა მტკიცედ დადგა ქართული ენის დასაცავად, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმება გადაწყვიტა. ხალხის პრინციპულობამ შედეგი გამოიღო და საბჭოთა ხელისუფლებას უკან დახევა მოუწია.

ქართველებს საუკუნეების მანძილზე გვიწევდა ბრძოლა საკუთარი სარწმუნოების, ქრისტიანობის დასაცავად. ჩვენმა ისტორიამ გვასწავლა, რომ ქვეყნის ნებისმიერი ოკუპაცია დროებითია, თუ დამპყრობელი ხალხის იდენტობის მოშლას ვერ ახერხებს. ამიტომ, ყველა დამპყრობელი თავის პირველ ამოცანად ქართველი ხალხის სარწმუნოებაზე შეტევას ისახავდა. ბოლოს ამას აკეთებდნენ საბჭოთა ბოლშევიკები, რომლებიც ეკლესიებს ანგრევდნენ და მორწმუნეებს ლოცვას უკრძალავდნენ. თუმცა, საქართველომ სარწმუნოებისთვის გადახდილ ყველა ბრძოლაში გაიმარჯვა და ქრისტიანობის დაცვა და შენარჩუნება შეძლო.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი გამოწვევები მსგავსია იმისა, რომელთა წინაშეც საქართველო საუკუნეების მანძილზე იდგა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს გამოწვევები დღეს მთელი მსოფლიოს გამოწვევებად იქცა, რომლებიც რისკებს თანაბრად უქმნის როგორც პატარა, ისე ყველაზე დიდ ქვეყნებსა და ერებს.

დღეს ე.წ. ლიბერალები აყენებენ რისკის ქვეშ ქვეყნებისა და ერების იდენტობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამგვარი რისკების წინაშე ყველაზე მეტად ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები დგანან, სადაც ე.წ. ლიბერალურ იდეოლოგიას ყველაზე ფართოდ აქვს ფესვები გადგმული.

უკონტროლო მიგრაცია უდიდეს საფრთხეს უქმნის ევროპული ქვეყნების ეროვნულ იდენტობას. თუ პროცესები არსებული ტემპით გაგრძელდება, არაერთ ევროპულ ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან მალე უმცირესობით იქნება წარმოდგენილი.

ე.წ. ლიბერალები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ებრძვიან ქრისტიანობას. ე.წ. ლიბერალებსა და ბოლშევიკებს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბოლშევიკები რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იარაღად უროს იყენებდნენ, ე.წ. ლიბერალები კი ქრისტიანობას პროპაგანდით ებრძვიან, რომელსაც მედიის ტოტალური კონტროლის პირობებში, უროზე ბევრად დიდი ძალა აქვს. დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მათი თავდასხმის განსაკუთრებული სამიზნეა. ორიოდე დღის წინ, ქართველმა ე.წ. ლიბერალებმა საქართველოს ეროვნული იდენტობის კონცეფციის შეცვლაც კი სცადეს და სიტყვები – მამული, ენა, სარწმუნოება სიტყვებით – მამული, ენა, ერთობა ჩაანაცვლეს. სიტყვა სარწმუნოება ამოიღეს ერის იდენტობის განსაზღვრებიდან.

ე.წ. ლიბერალების კონცეფციით, არა მხოლოდ ქვეყანასა და ერს, ცალკეულ ადამიანსაც კი არ უნდა ჰქონდეს რაიმე მყარი იდენტობა. არ უნდა არსებობდეს რაიმე მორალური ზღვარი ადამიანის პირად ცხოვრებაში. ამ პროპაგანდას აქვს შემაშფოთებელი შედეგები როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში. როგორც სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, აშშ-ში და ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, 18-25 წლის მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი საკუთარ თავს ლგბტ პირად აცხადებს. ეს მაჩვენებელი სამჯერ ნაკლებია 26-32 წლის ასაკის ახალგაზრდებში, რაც იმას ნიშნავს, რომ პროპაგანდამ ლგბტ პირების რაოდენობა სულ რაღაც 7 წელიწადში გაასამმაგა.

ე.წ. ლიბერალების პოზიციის მიხედვით, ადამიანს არ უნდა ჰქონდეს მყარი გენდერული იდენტობა და ის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე თავად უნდა ირჩევდეს საკუთარ სქესს. ბავშვსაც კი უნდა ჰქონდეს სქესის არჩევისა და შეცვლის უფლება. ე.წ. ლიბერალებისთვის მიუღებელია გენდერულად განსაზღვრული ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა, მაგალითად, ქალი და კაცი ან დედა და მამა.

რამდენიმე ათეული წლის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ცივილიზებულ სამყაროში ასეთ საკითხებზე მოგვიწევდა სერიოზულად მსჯელობა. თუმცა, ფაქტია, რომ ამ თემებზე დღეს არა მხოლოდ სერიოზული მსჯელობა წარიმართება, არამედ ყველა, ვინც საპირისპირო პოზიციას გამოხატავს, ზუსტად ისევე ხდება დევნის ობიექტი, როგორც წარსულში ბოლშევიკები დევნიდნენ მოაზროვნე ადამიანებს და ეკლესიის მსახურებს.

საზოგადოდ, ე.წ. ლიბერალები, რომლებიც თავისუფლებას შირმად იყენებენ, ყველაზე შეუწყნარებელი არიან ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ. ე.წ. ლიბერალისთვის სინამდვილეში სრულიად უცხოა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება და შემწყნარებლობა.

ამ მიდგომის გაგრძელებაა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის კამპანია, რომელსაც ე.წ. ლიბერალები აქტიურად აწარმოებენ, მათ შორის საქართველოში. ნარკოტიკებმა ადამიანი მოაზროვნე ინდივიდიდან ღირებულებებისგან დაცლილ სუბიექტად უნდა აქციოს.

ე.წ. ლიბერალები ასევე ებრძვიან ქვეყნის იდენტობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საყრდენს, როგორიც სახელმწიფო სუვერენიტეტია. თუ პროცესები იმ მიმართულებით წარიმართა, რა მიმართულებითაც დღემდე წარიმართება, სახელმწიფო სუვერენიტეტს მალე უკვე ფორმალურადაც ზუსტად ისეთივე მიუღებელ ღირებულებად გამოაცხადებენ, როგორადაც დღეს ქვეყნის ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას გვიცხადებენ.

საქართველო დღემდე არსებითად წარმატებით ახერხებს როგორც საკუთარი ეროვნული და რელიგიური იდენტობის, ისე ტრადიციული ღირებულებების დაცვას. თუმცა, ჩვენს წინაშეც ურთულესი გამოწვევები დგას. ე.წ. ლიბერალები აქტიურად ცდილობენ, ქართულ საზოგადოებაში საკუთარი იდეოლოგია გაავრცელონ და სახელმწიფოს და საზოგადოების საფუძვლები შეარყიონ.

ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, ჩვენ საქართველოს პარლამენტში დავაინიცირეთ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. კანონპროექტი კრძალავს ერთნაირსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას, ერთნაირსქესიანი ან პოლიგამიური წყვილის მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანას, ადამიანის სქესის შეცვლას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, გარდა ქალისა და მამაკაცისა, სქესის შესახებ რაიმე სხვა ჩანაწერის შეტანას, ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის მიერ შვილის აყვანის და სქესის შეცვლის პოპულარიზაციას.

გვაქვს დიდი იმედი, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ე.წ. ლიბერალურ იდეოლოგიას წარმატებით დაუპირისპირდება და ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ყველასთვის მისაბაძია უნგრეთის პრინციპულობა ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. უნგრეთის ხელისუფლება, პირადად პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მტკიცედ დგანან უნგრეთის ეროვნული და რელიგიური იდენტობისა და ტრადიციული ღირებულებების სადარაჯოზე. მიუხედავად ურთულესი გამოწვევებისა, თქვენ არ დაუშვით უნგრეთში მიგრანტების უკონტროლო შემოსვლა, რითიც ქვეყანას შეუნარჩუნეთ მყარი ეროვნული იდენტობა. თქვენ მტკიცედ დგახართ უნგრეთში ქრისტიანობისა და ქრისტიანული ფასეულობების სადარაჯოზე. თქვენ მტკიცედ უპირისპირდებით ე.წ. ლიბერალურ პროპაგანდას, რათა არ დაუშვათ ბავშვებზე და ახალგაზრდებზე მავნე ზემოქმედება და მათი მორალური ღირებულებების შერყევა. თქვენ მყარად იცავთ უნგრეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს, რაც ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და რეალიზების აუცილებელი პირობაა.

უნგრეთი და მისი ხელისუფლება, პირადად პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი არიან მისაბაძი მაგალითი ყველასთვის, ვისთვისაც სიტყვა სამშობლოს და პატრიოტიზმს განსაკუთრებული ფასი აქვს.

შესაბამისად, ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, რომ დღეს ვარ თქვენი სტუმარი და თქვენთან ერთად ჩვენს საერთო ღირებულებებზე მსჯელობის შესაძლებლობა მაქვს.

ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს და ქართველი ხალხის მთავარი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე საქართველო გახდება ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და ჩვენ ერთად შევძლებთ, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ევროკავშირის გაძლიერებაში, მყარ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობაში. ღმერთმა მოგვცეს ძალა და მოგვიმართოს ხელი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

დიდი მადლობა!

25 აპრილი, 2024 წ.

## ვიქტორ ორბანი: ყველა გამოწვევის მიუხედავად, ირაკლი კობახიძე ახერხებს ქვეყანაში ეროვნული იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებას!



**მინდა, მივესალმო ირაკლი კობახიძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ის არის მთავრობის მეთაური, რომელიც საქართველოში, ქართულ პოლიტიკაში დიდ მოჭადრაკედ მიიჩნევა. ეს გასაოცარი არ არის, რადგან საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჭადრაკი არის გეოპოლიტიკური თამაში. ყველა გამოწვევის, ზეწოლის მიუხედავად, როგორ შეიძლება ეროვნული იდენტობისა და კულტურის შენარჩუნება ქვეყანაში, ეს ნამდვილად არის მოჭადრაკის, გროსმაისტერის უნარი. ბატონო პრემიერ-მინისტრო, მადლობას გიხდით, რომ ჩვენთან ერთად ხართ და წარმატებას გისურვებთ!**

ხალხის ძალა

# დიდი ევროპის გასაგონად!

სანიმუშო ცივილიზებულ პოლიტიკურ სივრცედ ჩამოყალიბებამდე, ევროპამ ურთულესი ისტორია განვლო. მონათმფლობელობა ფეოდალიზმმა შეცვალა, ფეოდალიზმი კი, სისხლიანი რევოლუციებით, ბურჟუაზიის მმართველობამ. არანაკლებ სისხლიანი იყო პროლეტარიატის დაპირისპირება ბურჟუაზიასთან. მანამდე იყო გლადიატორების სისხლიანი ბრძოლები, ინკვიზიცია და ინდულგენციები, ადამიანების ცოცხლად კოცონზე დაწვა და უამრავი მანკიერება, რომელიც ისტორიის მრავალ ეტაპზე, ევროპის ქრისტიანულ ბუნებას ზორმალობად აქცევდა. სისხლიანი ომები ევროპულ იმპერიებსა და ქვეყნებს შორის მეოცე საუკუნის 40-იანი წლების ჩათვლით გაგრძელდა. მართალია, სამართლებრივი სახელმწიფოს და ადამიანის უფლებების იდეა ევროპაში XVIII საუკუნის ბოლოს ჩაისახა, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპაში ფეხის მოკიდება მას ძალზე უჭირდა. ევროპას უკავშირდება უახლესი მსოფლიო ისტორიის ყველაზე სისხლიანი მოვლენები – პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ფაშიზმი, ნაციზმი, ჰოლოკოსტი და საკონცენტრაციო ბანაკები. კონტინენტის პოლიტიკური ისტორია ძალიან მოკლედ რომ შევაჯამოთ, რომის იმპერიის ეპოქიდან 1945 წლამდე, ევროპა დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს და ადამიანის უფლებების ნიმუშის როლს არასოდეს ასრულებდა.

# საქართველოს შეუძლია, ევროპას აგენტოკრატიისგან თავის დაღწევაში დაეხმაროს!



## „ხალხის ძალა“: როგორც შარშან გავხადეთ იძულებული, მოეცათ კანდიდატის სტატუსი, წელს თუ არა გაისად ზუსტად ასევე მოუწევთ, გაგვიხსნან მოლაპარაკებებიც!..

**ჩვენ გვინდა არა მიშელის, მაკრონისა და შოლცის, არამედ რობერტ შუმანის, კონრად ადენაუერის, შარლ დე გოლის, ფრანსუა მიტერანისა და ჰელმუტ კოლის ევროპა.**

**ამ ყველაფრით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ევროპას, როგორც ცარიელ გეოგრაფიულ სივრცეს არავითარი ფასი არა აქვს. ევროპა, როგორც პოლიტიკური სივრცე, ჩვენთვის ძვირფასი და სანიმუშო მხოლოდ იმ სახით შეიძლება იყოს, როგორადაც ის რამდენიმე ათეული წლის წინ ჩამოყალიბდა. ისტორიულადაც, მთავარი მიზეზი, რატომაც ჩვენი წინაპარი ევროპისკენ იყურებოდა, ქრისტიანობა იყო. ქართველებისთვის ევროპა იყო ძვირფასი როგორც ერთმორწმუნე ქრისტიანული სივრცე, რომელთანაც საქართველოს საერთო რელიგია და ქრისტიანული კულტურა აკავშირებდა.**

ევროპის როგორც ცივილიზებული პოლიტიკური სივრცის ოქროს ხანა 1949-2008 წლები იყო. 60 წლის განმავლობაში, ევროპა ინარჩუნებდა სუვერენიტეტს და ევროპელები, შესაბამისად, მყარად ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ, კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას. სწორედ ამ პერიოდში იქცა დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ევროპული მმართველობის მთავარ პრინციპებად. ამავე პერიოდში, 60-წლიანი უწყვეტი მშვიდობის წყალობით, თანმიმდევრულად იზრდებოდა ევროპის ეკონომიკაც. მხოლოდ 2002-08 წლებში, ევროკავშირის ეკონომიკა 7,4 ტრილიონი დოლარიდან 16,3 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.

**თუმცა, 2008 წელს ევროკავშირი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. ბოლო 16 წელია, ევროკავშირის ეკონომიკამ სრული სტაგნაცია განიცადა და 16,3 ტრილიონიდან მხოლოდ 17,3 ტრილიონს მიაღწია. შედარებისთვის, იმავე პერიოდში ამერიკის ეკონომიკა, რომელიც 2008 წელს ევროკავშირისას ჩამორჩებოდა და მხოლოდ 14,8 ტრილიონ დოლარს შეადგენდა, 28 ტრილიონამდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო 16 წელიწადში ევროკავშირი ამერიკას 12 ტრილიონი დოლარით ჩამორჩა. იგივე ეხება ცალკეული ევროპული ქვეყნების ჩამორჩენასაც, რომლებიც ტრადიციულ ინდუსტრიებს სწრაფი ტემპით კარგავენ.**

ამისათვის გლობალურ ომის პარტიას „სულ რაღაც“ სამი ევროპული ომი და ევროკავშირში ტოტალური აგენტოკრატიის ჩამოყალიბება დასჭირდა. დღეს ევროპაში ერთი ხელით იმართება ბიუროკრატიისა და მედიის უდიდესი ნაწილი, რაც ევროკავშირს ომებზე ადეკვატური, საკუთარი ინტერესების შესაბამისი რეაგირების არავითარ შესაძლებლობას არ უტოვებს.

აგენტოკრატიისა და მედიის ტოტალური კონტროლის პირობებში, გლობალური ომის პარტია ევროპელებს კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობასაც იოლად აკარგვინებს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, 18-25 წლის ახალგაზრდებში ლგბტ პირების რაოდენობა უკვე 20 პროცენტს შეადგენს, საიდანაც ნახევარზე მეტი თავს ბისექსუალად აცხადებს. ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ მათი „ელგებეტეობის“ მთავარი მიზეზი არა შესაბამისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, არამედ მორალისგან და რელიგიური დოგმებისგან მათი სრული სტერილიზაციაა. ტოტალურმა მიგრაციამ, რომელიც ასევე გარედანაა მართული, ევროპას კულტურული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის ეგზისტენციური პრობლემა შეუქმნა. ევროპის დიდი ქალაქების უდიდეს უმრავლესობაში უკვე არაქრისტიანი და არაადგილობრივი მოსახლეობა ჭარბობს. პროცესები ასე თუ გაგრძელდა, ევროპა ძალიან მარტივად დაკარგავს იმას, რაც გასული რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უწყვეტი მშვიდობის წყალობით დააგროვა.

**ჩვენი და ქართველი ხალხის სურვილია, გავხდეთ ისეთი ევროპული ოჯახის წევრი, როგორიც ის 1949-2008 წლებში იყო. ჩვენ გვინდა არა მიშელის, მაკრონისა და შოლცის, არამედ რობერტ შუმანის, კონრად ადენაუერის, შარლ დე გოლის, ფრანსუა მიტერანისა და ჰელმუტ კოლის ევროპა. ჩვენ გვინდა ევროპა, რომელსაც მართავენ ნამდვილი პოლიტიკური ლიდერები. ჩვენ არ გვინდა ევროპა ევროპელების გარეშე. ჩვენ არ გვინდა ევროპა ქრისტიანობისა და ქრისტიანების გარეშე. ჩვენ არ გვინდა ევროპა, სადაც სქესი არჩევითია, ხოლო სქესობრივ ცხოვრებას არავითარი მორალური ზღვარი არა აქვს. ჩვენ გვინდა ევროპა, რომელმაც იცის საკუთარი სუვერენიტეტისა და იდენტობის, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს, ღირსებისა და ქრისტიანული მორალის ფასი. ჩვენ გვინდა ევროპა იმ ფასეულობებით, რომლებსაც ილია და ვაჟა ევროპულ ცივილიზაციაში გამოარჩევდნენ და შენატროდნენ.**

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, მიუხედავად ურთულესი გამოწვევებისა, საქართველო ინარჩუნებს სუვერენიტეტს და მყარად იცავს ჩვენი მოსახლეობის კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გამოცდილება ევროპას სასიცოცხლოდ ესაჭიროება. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენი მომავალი პოლიტიკური ოჯახის წევრებს, თავი დააღწიონ აგენტოკრატიას და ევროპას შეუნარჩუნონ ის ტრადიციული ღირებულებები, რომელსაც ევროკავშირი შექმნის დღიდან დაეფუძნა.

ევროპის კრიზისი საქართველოს მიმართ უკიდურესად არაევროპულ დამოკიდებულებაზეც აისახება. საქართველოსგან ითხოვენ ცესკოს და სასამართლოს დესტაბილიზაციას, აფინანსებენ ლგბტ პროპაგანდას და მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმას. ე.წ. დახმარება, ძირითადად, გლობალური ომის პარტიის აგენტურის დაფინანსებას ხმარდება. ღია მხარდაჭერას უცხადებენ ადამიანებს, რომლებმაც 2004-12 წლებში დემოკრატია და ადამიანის უფლებები ფეხქვეშ გათელეს, ციხეები გადაავსეს, პატიმრები აწამეს, ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, არჩევნები აყალმეს, ბიზნესი აყაჩაღეს და ტელევიზიები მიიტაცეს. დღეს კეზერაშვილი ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილდება და ერთი ხელით ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს, ხოლო მეორე ხელით „ენჯეოების“ გამჭვირვალობის საწინააღმდეგო აქციებს აფინანსებს.

ყველას გახსოვთ, როგორ გაგვიყალბეს 2020 წელს ე.წ. პივიტი და როგორ ცდილობდნენ 19 აპრილის ანტიკონსტიტუციური შეთანხმებით ხელის გადაგრეხვას, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება ეიძულებინათ. ყველას გახსოვთ, როგორ გვეუბნებოდნენ 2021 წლის არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე უარს 75 მილიონი ევროს სესხის გაცემაზე იმის გამო, რომ სასამართლოს დესტაბილიზაციაზე ვთქვით უარი. ამის ერთადერთი მიზანიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო შედეგზე ზემოქმედება და რიგგარეშე არჩევნების მიღწევა იყო. ისიც ყველას გახსოვთ, როგორ გვითხრეს 2022 წელს სრულიად უმიზეზოდ უარი კანდიდატის სტატუსზე, რის საფუძველზეც რევოლუციის მოწყობა სცადეს. ყველას გახსოვთ, როგორ ითხოვდნენ სააკაშვილის გათავისუფლებას, რადგან რევოლუციური მუხტი ყველაზე მეტად მის პერსონაში ეგულებოდათ. თუმცა, სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნაც არაფერია იმასთან შედარებით, როგორი უტიფრობითაც დღეს გამჭვირვალობის შესახებ კანონზე საუბრობენ. უკიდურესად არაევროპულია, როდესაც კანონის არმიღებას ითხოვ და იმითიც კი არ იწუხებ თავს, რომ ამ კანონის სიცუდის შესახებ თუნდაც ერთი არგუმენტი მოიტანო.

ჩვენ პირველად ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოვთქვით ჩვენი პროგნოზი იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ან არჩევნებიდან ორიოდე დღეში ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნაზე გვეტყვიან უარს, რომ ან არჩევნების შედეგებზე მოახდინონ კოლექტიური ნაცმოძრაობის სასარგებლო გავლენა ან არჩევნების შემდეგ რევოლუციის მოწყობა სცადონ.

თუმცა, როგორც 2022 წელს დავპირდით ქართულ საზოგადოებას, რომ საქართველო აუცილებლად მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, ზუსტად იგივე პირობა შეგვიძლია მივცეთ ხალხს მოლაპარაკებების გახსნასთან დაკავშირებითაც. როგორც შარშან გავხადეთ ისინი იძულებული, მოეცათ კანდიდატის სტატუსი, წელს თუ არა გაისად ზუსტად ასევე მოუწევთ გაგვიხსნან მოლაპარაკებებიც, რასაც დიდი ფასი ისედაც არა აქვს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს 2024 წელს გაგიხსნიან მოლაპარაკებებს და 2030 წელს გახდები ევროკავშირის წევრი თუ 2025 წელს გაგიხსნიან და წევრი ისევ 2030 წელს გახდები.

**საქართველოს ჭირდება ევროპა, რომელიც ჩვენთვის მრავალი თვალსაზრისით მისაბაძი მაგალითია. მიუხედავად 16-წლიანი სტაგნაციისა, ევროპას ეკონომიკური ხიბლი კვლავაც არ დაუკარგავს. 60-წლიანი უწყვეტი მშვიდობის პირობებში, ევროპამ განავითარა უმაღლესი ხარისხის ინფრასტრუქტურა, რომელიც დღესაც აღგვაფრთოვანებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ეკონომიკის განვითარების დონით ჯერ კიდევ რამდენჯერმე უსწრებენ ჩვენს ქვეყანას. საკმარისია, ევროპამ აგენტოკრატია და უკრაინის ომთან დაკავშირებული კრიზისი დასძლიოს და მის ხელახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმასვლას ვერაფერი დაუდგება წინ.**

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ დღეს ევროპას არანაკლებ სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს ევროპა. ჩვენი გამოცდილებით ჩვენ შეგვიძლია ევროპას აგენტოკრატიისგან თავის დაღწევაში დავეხმაროთ, რაც ძველი, ტრადიციული, დემოკრატიასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული, მყარი იდენტობის მქონე ევროპის დაბრუნების აუცილებელი პირობაა. დარწმუნებული ვართ, სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში საქართველო გახდება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმასვლის გზაზე ხელახლა შემდგარი ევროკავშირის წევრი, რაც თითოეული ჩვენგანის უდიდესი ოცნებაა.

საზოგადოება ქართული

# რადიკალური პოლარიზაცია, სიძულვილის ენა და ურთიერთმიუღებლობა ანგრევს ერთიან ქართულ ცნობიერებას

## „საზოგადოება ქართულის“ განცხადება

**საზოგადოებრივი გაერთიანება „ქართული“ ახლახან დაფუძნდა და ჩვენს პირველივე მიმართვაში იმ საფრთხეებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომელთა სიმწვავე ცხადად გამოჩნდა „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას.**

ჩვენ ვწერდით, რომ დამაზიანებელია ურთიერთსიძულვილისა და ერთმანეთის მიუღებლობის ის ატმოსფერო, რომლითაც წლებია გაჯერებულია ტელეეთერები, სოციალური ქსელები და საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი სფერო. კანონპროექტის განხილვამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პოლარიზებული ნეგატიური ველი ცდილობს ყველა და ყველაფერი დაპირისპირებაში ჩაითრიოს. ამის ნათელი მაგალითია დაშინების და შეურაცხყოფის ის აგრესიული კამპანია, რომელიც იმ ადამიანების მიმართ მიმდინარეობს, რომელთა შრომა და საქმიანობა საერთო ქართულს ემსახურება. ესენია სპორტსმენები და ხელოვანები, რომლებიც საერთაშორისო არენაზე საქართველოს წარმოადგენენ და ქვეყნის ღირსებას იცავენ. მათი, ასევე ჩვენი სახელოვანი მეცნიერების, პედაგოგების, მწერლების და სხვა ინტელექტუალების წრეგადასული დამუნათება და რომელიმე მხარეს გადაბირების მცდელობები აბსოლუტურად მიუღებელია.

ქვეყნის მომავლისა და ქართული დემოკრატიისთვის არანაკლებ დამაზიანებელია „იმედის“ თუ სხვა ტელეკომპანიების ჟურნალისტების დევნისა და მათთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის ხელის შეშლის მზარდი ტენდენცია, ჟურნალისტების და მათი ოჯახის წევრების ბულინგის კამპანიები სოციალურ ქსელებში. სამწუხარო ისაა, რომ ეს იმ ძალებისა და ადამიანების მხრიდან იმართება, რომლებიც ევროპელობაზე ყველაზე მეტად დებენ თავს.

**ჩვენთვის მიუღებელია განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობის ასეთი რადიკალური გარემო, როცა, სიტყვის თავისუფლების ნიღბით, ადგილი აქვს აშკარა დაშინებისა და მუქარის ფაქტებს. მათ შორის, ჩვენი საზოგადოების წევრების მიმართ, რომლებიც ღიად გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს. თუ კიდევ განმეორდა მუქარები ჩვენი წევრების მისამართით, მათ სათანადო სამართლებრივი პასუხი გაეცემა, რათა საზოგადოება იმ ადამიანებისგან დავიცვათ, ვინც სხვისი დაშინებით განსხვავებული აზრის ჩახშობას ცდილობს.**

დღევანდელი პროცესების შემხედვარეთ, ასევე გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი თავისუფლებას ბატონის შეცვლასთან აიგივებს, ხოლო ევროპის ოჯახში გაერთიანებას – საკუთარ სუვერენიტეტზე უარის თქმასთან. ასეთი მენტალობის ადამიანები სიტყვიერად ემიჯნებიან წარსულს, საქმით კი პირდაპირი მემკვიდრეები არიან 20-იანი წლების იმ კომკავშირლების, რომლებიც ტაშით დახვდნენ პროლეტარულ რევოლუციას და რუსულ ოკუპაციას.

სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთისთვის ილიასეულ ტრიადაში – მამული, ენა და სარწმუნოება, ეს უკანასკნელი ზედმეტი აღმოჩნდა, რაც არაა შემთხვევითი მოვლენა ან მხოლოდ უცოდინარობა. ეს თავისუფლების ე.წ. ნეოლიბერალური დოქტრინის ნაწილია, რომელშიც უღმერთობა ტოტალიტარული რელიგიის რანგშია აყვანილი. ამიტომაა, რომ ამ ინსპირაციის შემოქმედი ხალხი, გარე ძალების კარნახითა და ხელშეწყობით, წლებია გამიზნულად ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს, ქრისტიანობას, დასცინის წმინდანებს, აქილიკებს ასი ათასი მოწამის თავგანწირვას, რევიზიას უკეთებს ისტორიას, აკნინებს და უნდა წაშალოს ჩვენი მეფეების, მღვდელმთავრების, საზოგადო მოღვაწეების და პატრიარქის ღვაწლი, ავტორიტეტი ჩვენი ეკლესიისა, რომლის დამსახურება ქართველი ერისა და კულტურის წინაშე აუწონელია.

**ჩვენ ისტორიულად და კულტურულად ვართ ევროპელები და ევროპელობა, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული აზრებისა და არგუმენტების ჰარმონიული სინთეზია და არა ტოტალიტარული აზრის ერთფეროვნება. ჩვენ გვინდა გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი იდენტობის, ქრისტიანული ტრადიციების, ისტორიის, ღირსებისა და სუვერენიტეტის ხარჯზე. ეს უკანასკნელი დღეს, ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში, ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და ერის ფიზიკური გადარჩენის მთავარი გერკეტია და მის განმტკიცებაზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ იქნება იგი კონსერვატორი, ლიბერალი, სოციალისტი თუ რომელიმე სხვა იდეოლოგიის მიმდევარი.**

საერთო ეროვნული ინტერესები მათზე მაღლა დგას და ამისთვის ჩვენ, პირველ რიგში, განსხვავებული აზრების შეჯერებისა და კომპრომისების გზით, უნდა დავძლიოთ რადიკალიზებული და პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, რათა საზოგადოებაში ეროვნული და სახელმწიფოებრივი საქმეების ერთად კეთების ატმოსფერო დავამკვიდროთ!




# „ინოვაციები და შემოქმედება საერთო მომავლის სასიკეთოდ“

**ყოველი წლის 26 აპრილს მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დღე აღინიშნება, რომლის მთავარი მიზანი ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.**

ამ დღეს ყველას საშუალება ეძლევა გააცნობიეროს, თუ რა წვლილი შეაქვს ინტელექტუალურ საკითხებს მუსიკის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებაში, რაც თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებას უწყობს ხელს.

2000 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ „ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე“ დააწესა. ამ დღის აღნიშვნა 2001 წლიდან დაიწყო.

1970 წლის 26 აპრილს ძალაში შევიდა საერთაშორისო კონვენცია, რომლის თანახმადაც დაარსდა „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია“ (ისმო).

„ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია“ ყოველწლიურად განსაკუთრებულ ინტერესსა და მოლოდინს აჩენს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის მიმართ. ყოველ 26 აპრილს გამართული ღონისძიება ერთ კონკრეტულ თემატიკას ეძღვნება, რომელსაც მსოფლიო ორგანიზაცია თავად ირჩევს. ეს დღე საზეიმოდ პირველად 2001 წელს აღინიშნა დევიზით – „შევქმნათ მომავალი დღეს“ და ღონისძიება მთლიანად მომავალი თაობის წახალისებასა და ხელშეწყობას მიეძღვნა.

წელს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე აღინიშნება სლოგანით **„ინოვაციები და შემოქმედება საერთო მომავლის სასიკეთოდ“**. ამ დღეს „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია“ კიდევ ერთხელ შეახსენებს მსოფლიოს ინოვაციებისა და შემოქმედებითი გადაწყვეტების მნიშვნელობაზე საერთო მომავლის ფორმირებაში.

## 26 აპრილი მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეა

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ულოცავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს და შემოქმედებით საქმიანობაში დიდ წარმატებას უსურვებს.

**თამაზ შილაკაძე,**

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი





# არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არჩევენ!

**ხელმომწერი ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ვიდრე ხელისუფლება რუსულ კანონს არ გაიხმობს; ვაცხადებთ, რომ არასოდეს, არავითარი ფორმით არ დავრეგისტრირდებით ღირსების შემლახავ რეესტრში; მოვუწოდებთ ყველას, 28 აპრილს, კვირას, 19:00 საათზე, შევიკრიბოთ რესპუბლიკის მოედანზე რუსული კანონის წინააღმდეგ. ასევე მოვუწოდებთ შეკრებისკენ ყველას, თუკი ჩაინიშნება მეორე პლენარული განხილვა,** – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

– სიტყვის გატეხითა და რუსული კანონის ხელახლა განხილვით, უდავოა, რომ ხელისუფლება გადის კონსტიტუციური ჩარჩოდან და ცვლის ქვეყნის საგარეო კურსს. ეს ქართველი ხალხის ურყევი ნების ღალატია. არ დარჩენილა სოციალური ფენა, პროფესიული თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც გასულ დღეებში ხელისუფლებისთვის რუსული კანონის გაწვევა არ ეთხოვა. მეცნიერები, სტუდენტები, ექიმები, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები, მეღვინეები, მეწარმეები, ფერმერები და სხვა ჯგუფები დღეს ერთად დგანან ისტორიის სწორ მხარეს.

ასევე, ყველა საერთაშორისო პარტნიორის: ევროკავშირის, ნატოს, გაეროს, ევროსაბჭოსა და მეგობარი ქვეყნის განცხადებით, რუსული კანონი გვაშორებს ევროკავშირს. რუსული კანონის განხილვა და მიღება ანტიკონსტიტუციური ნაბიჯია, რომელიც ყველა მოქალაქეს ეხება, კლავს ქართულ დემოკრატიას და რუსეთთან პირისპირ გვტოვებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ უარს ვამბობთ: ა) ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრებში მონაწილეობაზე; ბ) სამუშაო ჯგუფებსა და მრჩეველთა საბჭოებში მუშაობაზე; გ) საერთაშორისო თუ სხვა სამუშაო ფორმატებში ხელისუფლებასთან კოორდინაციაზე.

ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ ხალხისთვის. ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ ხალხს და გავაგრძელებთ მუშაობას ბავშვების, ქალების, მშრომელების, შშმ პირებისა და სხვა დაუცველი ჯგუფების უფლებების დასაცავად.

სწორედ ამ ხალხის 80 პროცენტი, განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეები, მხარს უჭერენ და შრომობენ, რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. „ქართული ოცნება“ კი ამ ხალხს აიძულებს, მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ, მონაწილეობა მიიღოს 29 აპრილს დაგეგმილ მთავრობის რუსულ მარშში. მთავრობის რუსული მარშით ხელისუფლება ცდილობს, წარსულში დაგვაბრუნოს, მაშინ, როცა ჩვენი მომავალი ევროპაშია. ხელისუფლება უპირისპირდება შვილებს, მომავალ თაობებს, საჯარო მოხელეებსა და ამ ქვეყნის ევროპული მომავლის მხარდამჭერ აბსოლუტურ უმრავლესობას.

**ჩვენი და ქართველი ხალხის პასუხი კი არის:**

**არასოდეს ვიცხოვრებთ პუტინის წესებით. რუსული კანონი არასოდეს იქნება ქართველი ხალხის არჩევანი.**

**კი ევროპას! არა რუსულ კანონს!“**

**ნებისმიერი ომის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით აქტუალურია პასუხი კითხვაზე, ომის გაჩაღებაში ვინ არის დამნაშავე? ბუნებრივია, ომის მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ქვეყნისა და მთავრობების გამართლებას, უდანაშაულოდ ცნობას, არ სურთ ისინი ისტორიაში აგრესორებად მოიხსენიებოდნენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გამოცემული მრავალტომიანი დოკუმენტების კრებულები ყოველგვარი კომენტარების გარეშე. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ასეთი გერმანული გამოცემა ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც ინახება. ალბათ, გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, ნაალაფარია — საბჭოთა კავშირი ამგვარი გამოცემისთვის ვალუტას არ ხარჯავდა. უკომენტაროდ დაბეჭდილი ამ დოკუმენტების გაცნობა მკითხველს მიიყვანს დასკვნამდე — პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე რუსეთი იყო. ამ მოსაზრებას გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსი, აკადემიკოსი ე. ტარლეც იზიარებდა.**




# რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართველი, აფხაზი და ოსი აგენტების დახმარებით საქართველოს მიწა-წყლის 20%-ის ოკუპაცია და ანექსია მოახდინეს!




**ჩვენთან, საქართველოში, აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რუსეთთან გადახდილი ომების გამო, დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა — ზოგი რუსეთის პროპაგანდის გავლენით, ზოგი არასათანადო ინფორმაციის გამო, ზოგი ტენდენციუროზით და ა.შ. ხალხში გაურკვევლობას იწვევს — ამიტომ მოითხოვენ ამ ომებთან დაკავშირებული მოვლენების დეტალურ გამოძიებას. მხატვრულ ნაწარმოებებში, კინოფილმებში, პუბლიცისტურ წერილებში ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ ეპიზოდებზე, ზედაპირულ მოვლენებზე, მოწინააღმდეგეების მიერ გამოვლენილ სისასტიკეებზე და არაა ყურადღება აქცენტირებული მთავარზე — ამ ომებში რუსეთის როლზე. რეჟისორ ნანა ჯანელიძის ფილმის „იარე, ლიზა“ ნახვის შემდეგ საზოგადოების ნაწილში პროტესტი გამოუწვევია მთავარი გმირის, ქართველი ჟურნალისტის ენგურს იქით აფხაზებისთვის გადაძახილს „გოდიში“.**

ამ ადამიანების პროტესტი გასაგებია. საზოდიშო არც ქართველებს, არც აფხაზებს, არც ოსებს ერთმანეთის მიმართ არ გვაქვს. ამ ხალხების მიმართ სასაყვედურო ისაა, რომ მათ კრიტიკულ მომენტში არ ჰყავდათ ისეთი მთავრობა, ინტელიგენცია, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების ოინებს გამოააშკარავებდა და გააცნობდა ხალხს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის სისასტიკეები და არაადამიანური მოპყრობა, რასაც ორივე მხრიდან ადგილი ჰქონდა, უმეტესად სპეცსამსახურების მითითებით ხდებოდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების მეხსიერებაში დარჩება და თაობიდან თაობას გადაეცემა არა ომების მიმდინარეობის სამხედრო-ოპერატიული პერიპეტიები, არამედ ამ ომების დროს ჩადენილი მხეცობა, დაუნდობლობა, სისასტიკე. არც ერთ თავისუფლებისმოყვარე და თავმოყვარე ერში ეროვნული შეურაცხყოფის ფაქტები უკვალოდ არ ქრება, რაც, ცხადია, ამ ხალხების ურთიერთობას და შერიგებას ართულებს. მართალია, საბჭოთა კავშირში ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა (სიტყვა „ბრბოს“ ხმარებას საერთოდ ერიდებოდნენ), სწავლობდნენ პიროვნების ფსიქოლოგიას, მაგრამ ბრბოს ფსიქოლოგია ინდივიდთა ფსიქიკის უბრალო ჯამი არაა, მას სულ სხვა მახასიათებლები გააჩნია, რასაც სპეცსამსახურები კარგად იყენებდნენ. პოლონელებს დღესაც ახსოვთ 1794 და 1863 წლების აჯანყებების ჩასახშობად რუსეთის ჯარის, (ველური დივიზიის) დაუნდობლობა და სისასტიკე, ამიტომ ურჩევდნენ ალექსანდრე I-ს 1815 წელს, ვენის კონგრესზე — არ შემოეერთებინა პოლონეთი, რადგან პოლონელების გულში რუსეთისადმი სიყვარული არასდროს არ დაისადგურებსო. სწორედ ასეთი სიძულვილის ჩანერგვა სურდათ ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის (მგონი, ნაწილობრივ ამას მიაღწიეს კიდეც). ამ ვარაუდის საფუძველია ის, რომ ვაჟკაცურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი, აფხაზი და ოსი მეომრები არაადამიანურ, მხეცურ ქმედებებს არ ჩაიდენდნენ; ველური ბუნების მქონე ადამიანები კი ყველა ხალხში მოიძებნება, ისინი ერთეულები არიან.

* * *

**აფხაზეთითა და, ზოგადად, შავი ზღვის სანაპიროთი რუსეთის დაინტერესებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეკატერინე II-დან დაწყებული, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებასა და შავი ზღვის რუსეთის ტბად გადაქცევას.**

საინტერესოა, 1905 წელს გამოცემული პროპაგანდისტული ბროშურა, რომელშიც სოჭი და მისი მიმდებარე რაიონები გაიდეალებულია, როგორც მესიმინდეობის, მეფუტკრეობის, ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის იდეალური პირობების მქონე ადგილად და რუსებს აქ დასახლებას ურჩევდნენ. სტოლიპინის რეფორმის დროს (1906-1910) აქ და აფხაზეთში რუსებს მასობრივად ასახლებდნენ, მათ მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდნენ, მაგრამ სტეპებში ცხოვრებას მიჩვეული ადამიანები ვერ ეგუებოდნენ აქაურობას და უკან ბრუნდებოდნენ.

მაშინ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს მიწათმფლობელობის სამმართველოს უფროსმა ხატისოვმა ურჩია, ჯერ სომხები ჩავასახლოთ ამ ადგილებში და როდესაც ისინი აითვისებენ აქაურ ჭაობიან მიწებს, შემდეგ რუსები ჩამოვიყვანოთო. ნიკოლოზ II-ს საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი თავის მემუარებში წერს: პირველი მსოფლიო ომის დროსაც კი რუსეთის დიპლომატიას ბოსფორსა და დარდანელზე გაბატონება ძილშიაც კი ესიზმრებოდათ. ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის ყოველთვის წარმოადგენდა დიდი მნიშვნელობის ტერიტორიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქეთი გახდა ნატოს წევრი, მან განსაკუთრებული სტრატეგიული ღირებულება მოიპოვა, ამიტომ იყო, რომ როკის გვირაბის მშენებლობის დასაჩქარებლად, ჩრდ. ოსეთის დედაქალაქში, ყოველ შაბათს, სპეციალური თათბირები ტარდებოდა.

**ასეთი დაინტერესების მიუხედავად, რუსეთი ადვილად ვერ შეძლებდა თავისი მიზნების განხორციელებას, რომ არა რუსეთის სპეცსამსახურების ქართველი, აფხაზი და ოსი აგენტების მხარდაჭერა.**

**შევარდნაძე სიცოცხლის ბოლომდე თავს იტყუებდა თუ სხვების მოტყუებას ცდილობდა ეს რთული ფსიქოლოგიური ფენომენია და, მას საგანგებო შესწავლა ესაჭიროება.**

**ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:**

სოხუმის დაკარგვის შემდეგ, ე.შევარდნაძე მიხვდა, რომ სამშობლოს ღალატში მოსკოვმა მას ღრმად შეატოპინა. ამიტომ გადაწყვიტა სახელმწიფო უშიშროების მინისტრად, კრემლთან შეუთანხმებლად, თავისი კაცი, ავთანდილ იოსელიანი დაენიშნა.

**ი. გიორგაძის უშიშროების მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით მაშინდელი ვიცე-პრემიერი ა. მარგიანი წერს: ე. შევარდნაძეს ი. გიორგაძე ერთმა სოჭელმა სომეხმა ბიზნესმენმა (ისევ სომხეთი!) დაანიშნინაო, სანაცვლოდ მან ორი ბატალიონის შეიარაღება იკისრაო. თავად ე.შევარდნაძეამ ფაქტს ასე იგონებს: მე არ მინდოდა მინისტრად ი. გიორგაძის დანიშვნა, მაგრამ შემომიჩდნენ ჯ. იოსელიანი, სხვებიც და იძულებული გავხდი, მათი თხოვნა დამეკმაყოფილებინა. ალბათ, ისინი მოსკოვის ზეწოლის ქვეშ იყვნენო. ე.ი ე.შევარდნაძე არაა დარწმუნებული იმაში, ი. გიორგაძე მოსკოვის კაცია თუ არა! ე. შევარდნაძე და ა. მარგიანი, ცხადია, მოსკოვისთვის პირის მოწმენდას ცდილობენ.**

**ა. მარგიანი იგონებს: ავ. იოსელიანის მეგობრები მის მინისტრად დანიშვნას ერთ-ერთ რესტორანში აღვნიშნავდითო. გახურებული ქეიფის დროს შეუტყვიათ, რომ ავ. იოსელიანი კი არა, მინისტრად იგორ გიორგაძე დაუნიშნავთ. ე. ი. დამოუკიდებელი ქვეყნის, ხალხის ნებით არჩეულ პრეზიდენტს მოსკოვმა თავზე გადაახია მის მიერ ხელმოწერილი ბრძანება და უშიშროების მინისტრად თავისი კანდიდატურა დაანიშნინა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირები, განსაკუთრებით ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, მოსკოვის თანხმობის გარეშე არ ინიშნებოდნენ. (ე. შევარდნაძე საქართველოში იყო (ლომი“, კრემლიდან დარეკილ სატელეფონო ზარებს კი ფეხზე ადგომით პასუხობდა), ამიტომ, როგორც თავად ე. შევარდნაძე აცხადებს, მას არ ემორჩილებოდნენ უშიშროების მინისტრი ი. გიორგაძე, თავდაცვის მინისტრი თ. კიტოვანი, მხედრიონის ხელმძღვანელი ჯ. იოსელიანი. ასეთ პირობებში ომში წარმატების ვისი ან რისი იმედი უნდა იქონიო? „თეთრი მანდილის“? ბატალიონ „თბილისელის“? წინასწარ წაგებულ ომში ახალგაზრდებს მოუწოდო საომრად — ეპით აღუწერელი დანაშაული და საზიზღრობაა! სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში შოთა ნიშნიანიძეს, როცა წერდა „ამ ბიჭს ჰგონია იგი მოკვდა მამულისათვის, ო, არა შვილო, შენ მკვდარი ხარ მავანთ ტახტისთვის“.**

მაინც როგორ ბედავდნენ და მთავარსარდალს არ ემორჩილებოდნენ უშიშროების, თავდაცვის მინისტრები და „მხედრიონის“ ხელმძღვანელი. ეს ხომ სამშობლოს ღალატია, რისთვისაც უმაღლესი სასჯელია გათვალისწინებული. საქმე ის არის, რომ მათთან ერთად, ე. შევარდნაძეც, თოჯინებივით იმ თოკზე იყო ჩამოკიდებული, რომელიც მოსკოვს ხელში ეჭირა და თავისი სურვილისამებრ ათამაშებდა. ამიტომ, ისინი პრეზიდენტის დავალებებს არ ასრულებდნენ, ან ასრულებდნენ მაშინ, თუ იგი რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა.

იხ. 9 გვ.

# ცრუ, ყალბი, მიკერძოებული ვენდეტა აშკარად კორუმპირებული ევროპარლამენტისგან!

## სხვაგვარად ვერ შეაფასებ ევროპარლამენტის საქართველოსთან დაკავშირებულ რეზოლუციის პროექტს

(პირველი გვერდიდან)

**კერძოდ, საუბარია შემდეგი სახის შესწორებებზე:**

1. გმობს აქტიურ პოლიტიკაში 2023 წლის 30 დეკემბერს დაბრუნებული და პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, საქართველოს ერთადერთი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის პირად როლს მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისსა და დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყნის კურსისთვის ძირის გამოთხრის მორიგ მცდელობაში, რუსეთის სასარგებლოდ შემობრუნებით. კიდევ ერთხელ იმეორებს მოწოდებას ევროპული საბჭოსა და ევროკავშირის დემოკრატიული პარტნიორების მიმართ, განიხილონ ივანიშვილისთვის პირადი სანქციების დაწესება, საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში მისი როლისთვის და მისი ხალხის ინტერესების წინააღმდეგოდ მუშაობისთვის;

2. კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჰუმანიტარულ საფუძველზე გაათავისუფლოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საზღვარგარეთ სათანადო მკურნალობის საშუალება მისცეს; აღნიშნავს, რომ მისი საქმე კიდევ უფრო ხაზს უსვამს




აკაშვილი, რომლის ჰუმანიტარული ნიშნით გასათავისუფლებლად საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაშვებად პარლამენტმა მოწოდება გააკეთა.

1. მკაცრად გმობს სადავო კანონპროექტის ხელახლა შემოღებას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც დააწესებს დამაზიანებელ შეზღუდვებს სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე და ამით ძირს გამოუთხრის მათ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას, სწორედ ამიტომ მას მოჰყვა მასობრივი პროტესტი საქართველოს საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და ქვეყნის ევროპელი და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან;

2. ხაზს უსვამს, რომ კანონპროექტი შეუთავსებელია ევროკავშირის ღირებულებებთან და დემოკრატიულ პრინციპებთან, ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციებს, ზიანს აყენებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას;

3. ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებები არ უნდა დაიწყოს, ვიდმართლმსაჯულების სისტემის ნამდვილი რეფორმის განხორციელების მნიშვნელობას;

3. მოუწოდებს ევროკომისიას, დროულად შეაფასოს საქართველოს მიერ დაგეგმილი „უცხოელი აგენტის“ კანონის გავლენა საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების უწყვეტ შესრულებაზე, კერძოდ კი, ფუნდამენტური უფლებების მაჩვენებელზე, რაც ევროკავშირის ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია;

**4. მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, გააუქმოს შემოთავაზებული საკონსტიტუციო კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს ლგბტქ უფლებებს, რაც წარმოადგენს თავდასხმას არა მხოლოდ ლგბტქ თემზე, არამედ სიტყვის თავისუფლებასა და თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებაზე;**

**რეზოლუცია კი, რომელშიც ზემოთ აღნიშნული შესწორებები შევიდა, გუშინ ამ სახით იყო გავრცელებული:**

„ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოში უცხოელი აგენტების კანონის ხელახალი შემოღების მცდელობებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვების შესახებ“.

– საქართველოზე მისი წინა რეზოლუციების გათვალისწინებით,

– ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენლისა და სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ევროკომისრის „უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის“ კანონის მიღების შესახებ 2024 წლის 17 აპრილის განცხადების გათვალისწინებით,

– 2024 წლის 4 აპრილის ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის „გარე გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტის შესახებ განცხადების გათვალისწინებით,

– ევროპული საბჭოს 2023 წლის 14 და 15 დეკემბრის დასკვნების გათვალისწინებით,

– „ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის კომუნიკეს“ გათვალისწინებით,

– ერთი მხრივ, ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის შეთანხმების გათვალისწინებით,

– სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის გათვალისწინებით,

– ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გათვალისწინებით,

– საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის ხელახლა წარდგენასთან დაკავშირებით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის თავმჯდომარის და საქართველოს საკითხებში ევროპარლამენტის მუდმივი მომხსენებლის 2024 წლის 18 აპრილის ერთობლივი განცხადების გათვალისწინებით,

– **132(2) წესებისა და (4) პროცედურის წესების გათვალისწინებით,**

ა. ვინაიდან აზრის, გამოხატვის, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ფუნდამენტურ უფლებებს;

ბ. ვინაიდან საქართველო, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერი, ასევე ევროპის საბჭოსა და ეუთოს წევრი, ვალდებულია დაიცვას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპები;

გ. ვინაიდან ევროკავშირი საქართველოსგან, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი კანდიდატი ქვეყნისგან ელის, რომ სრულად დაიცავს ასოცირების შეთანხმებასა და სხვა საერთაშორისო ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ, შეასრულებს პირობებს და გადადგამს ნაბიჯებს , რომელიც გაწერილია კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციაში; ვინაიდან ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, საქართველოსთვის მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი მხოლოდ იმის დათქმით, რომ ეს ნაბიჯები გადაიდგმება; ვინაიდან ეს რეკომენდაცია მოუწოდებს საქართველოს უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა (ნაბიჯი 9) და ებრძოლოს ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ დეზინფორმაციას (ნაბიჯი 1), და რამდენადაც კანონპროექტი არღვევს ამ ორივე მიზანს;

დ. ვინაიდან 2024 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ე.წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის“ კანონი, 83 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ, საქართველოს მოქალაქეების მასობრივი პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკის მიუხედავად, რომელმაც კანონპროექტს „ქვეყნის ევროპული გზის საბოტაჟი“ უწოდა, ეროვნული და საერთაშორისო დაგმობისა და საქართველოს ევროპელი პარტნიორების მხრიდან არაერთგზის მოწოდებებისა, უკან გაეწვიათ კანონპროექტი, ვინაიდან ეს კანონი მოითხოვს ორგანიზაციებისგან რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს საზღვარგარეთიდან იღებენ, ორი თვის ვადაში დარეგისტრირდნენ როგორც უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად და მიიწებონ ასეთი იარლიყი; ვინაიდან ორგანიზაციები დაექვემდებარებიან დამატებით შემოწმებას, ანგარიშვალდებულებას და შესაძლო სანქციებსაც, მათ შორის ადმინისტრაციულ ჯარიმებს 25 000 ლარამდე, ვინაიდან კანონი სერიოზულად შეზღუდავს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას თავისუფლად იფუნქციონირონ.

ე. ვინაიდან უცხოური დაფინანსების მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი ვერ ამართლებს ზომებს, რომლებიც ზღუდავს მათ საქმიანობას, განსაკუთრებით დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროში;

ვ. ვინაიდან ეს კანონპროექტი წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ საქართველოში მზარდი თავდასხმების დროს, ასევე საერთაშორისო დონორების მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერის წინააღმდეგ, თითქოსდა სამოქალაქო სივრცის შევიწროებისა და საჯარო სფეროში კრიტიკული ხმების გაჩუმების მიზნით, სხვა მრავალ შორის, უცხოურ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით; ვინაიდან ეს კანონპროექტი ერთ-ერთი ბოლოა, საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო საკანონმდებლო და სხვა ინიციატივების სერიიდან, რომელიც ასევე მოიცავს „ლგბტ პროპაგანდასთან“ საბრძოლველად საკონსტიტუციო ცვლილებების გამოცხადებას და ქალებისთვის გენდერული კვოტების სავალდებულო პოლიტიკის გაუქმებას პარლამენტში, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ რეფორმებს და ხელს უწყობს ევროკავშირის, მისი ღირებულებებისა და პოლიტიკის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებას; ვინაიდან ევროპარლამენტმა წინა რეზოლუციებში უკვე მოითხოვა ზომები, რათა შემცირდეს ის დესტრუქციული როლი, რომელსაც საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში ოლიგარქიული ინტერესები ასრულებს, მათ შორის ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაში, როგორიცაა ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სარე ეს კანონი საქართველოს სამართლებრივი წესრიგის ნაწილია;

4. ამიტომ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, შეწყვიტოს საპარლამენტო პროცედურები, რომელსაც კანონის მიღებამდე მივყავართ და მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, შეასრულოს 2023 წლის მარტში აღებული ვალდებულებები, როდესაც განაცხადა, რომ უპირობოდ გაიწვევს კანონპროექტს სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიისთვის შეზღუდვების დაწესების შესახებ და აღარასდროს შემოგვთავაზებენ მსგავს კანონს; მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, ასევე თავი შეიკავოს შემდგომი საკანონმდებლო წინადადებებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრობისთვის კოპენჰაგენის კრიტერიუმებს ეწინააღმდეგება;

5. ხაზს უსვამს, რომ კანონპროექტი ღალატობს ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მისწრაფებებს, იცხოვრონ დემოკრატიულ საზოგადოებაში, განაგრძონ დემოკრატიული და კანონის უზენაესობის რეფორმები, განაგრძონ მჭიდრო თანამშრომლობა ევროატლანტიკურ პარტნიორებთან და მიაღწიონ ევროკავშირში გაწევრიანების გზას;

6. ხაზს უსვამს, რომ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება და მშვიდობიანი პროტესტის უფლება არის ფუნდამენტური თავისუფლება და დაცული უნდა იყოს ნებისმიერ ვითარებაში, განსაკუთრებით ქვეყანაში, რომელსაც სურს ევროკავშირში გაწევრიანება;

7. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, პატივი სცეს საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს და, შესაბამისად, გამოთქვამს შეშფოთებას ცნობების გამო, რომელშიც საუბარია სპეცრაზმის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ სადავო კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსული დემონსტრანტების დაშლისას; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გამოიძიოს და პასუხისგებაში მისცეს ისინი, ვინც პასუხისმგებელია ძალის უკანონო და არაპროპორციულ გამოყენებაზე;

8. ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებრივი დამკვირვებლის როლი, რომელსაც ახორციელებს სამოქალაქო საზოგადო-

ება და დამოუკიდებელი მედია, არსებითია დემოკრატიული საზოგადოებისთვის და გადამწყვეტია ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფორმების წინსვლისთვის. ამიტომ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიას შეუძლია განვითარდეს;

9. გმობს ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობა შთაგონებულია რუსულის მსგავსი ძალიან საკამათო კანონმდებლობისგან, როგორიცაა რუსეთის „უცხოელი აგენტების კანონი“, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს მიზანმიმართულად იარლიყს აწებებს და მათ დისკრიმინაციას ახდენს და ასევე გამოიყენება ქვეყანაში დარჩენილი კრიტიკული ხმების გასაჩუმებლად და ოპოზიციის ჩასახშობად, რომელიც უკრაინაში რუსეთის აგრესიული ომის წინააღმდეგია;

10. შეგახსენებთ, 2023 წლის 14 და 15 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი იმ დათქმით, რომ გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები, რომლებიც მითითებულია კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციაში; ხაზს უსვამს, რომ ეს რეკომენდაცია მოუწოდებს საქართველოს, უზრუნველყოს, სამოქალაქო საზოგადოებას შეეძლოს თავისუფლად მოქმედება და ებრძოლოს ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ დეზინფორმაციას. მოუწოდებს, რომ ეს კანონპროექტი არღვევს ამ ორივე მიზანს;

11. ახსენებს საქართველოს მთავრობას მის მიერ აღებულ ვალდებულებებს და ასევე იმ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომელსაც ის ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადის დროს დაეთანხმა და მოუწოდებს კომისიის ვიცე-პრეზიდენტს/კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, სამეზობლო და გაფართოების საკითხებში კომისარსა და კომისიის პრეზიდენტს გააკეთონ იგივე;

12. სთავაზობს კომისიას, წარადგინოს საქართველოს პროგრესის შესახებ შუალედური შეფასება, 2023 წლის 8 ნოემბრის კომისიის რეკომენდაციაში მითითებული ცხრა ნაბიჯის განხორციელებასთან დაკავშირებით;

13. მოუწოდებს კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს, შეაფასონ ამ კანონპროექტის გავლენა ევროკავშირის, როგორც საქართველოში დონორის როლზე და ნათლად მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს ამ შესაძლო გავლენისა მისი შედეგების შესახებ ზოგადად ევროკავშირის დაფინანსებაზე;

14. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაუბრუნდეს თავის ევროპულ გზას, შეინარჩუნოს ვალდებულება, რომ პატივს სცემს, გააძლიერებს და ხელს შეუწყობს დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს და ჭეშმარიტად ჩაერთოს ევროკავშირის წევრობისა და კანდიდატის სტატუსის პირობების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯების სრულად განხორციელებაში, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და პოლიტიკურ ოპოზიციასთან ჩართულობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით;

15. კიდევ ერთხელ იმეორებს თავის ურყევ მხარდაჭერას ქართველი ხალხის ლეგიტიმური, ევროპული მისწრაფებებისა და მათი სურვილისადმი, იცხოვრონ აყვავებულ, კორუფციისგან თავისუფალ ქვეყანაში, რომელიც სრულად პატივს სცემს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, იცავს ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს ღია საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიას; ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მოტივირებული იყო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიღწევებისა და დემოკრატიული ძალისხმევის აღიარების სურვილით, ისევე როგორც მის მოქალაქეებს შორის ევროკავშირში გაწევრიანების აბსოლუტური მხარდაჭერით;

16. მოუწოდებს შეიქმნას მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, გრძელვადიანი საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ, 2024 წლის ოქტომბერში, ქვეყნის მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად;

17. ავალებს თავის პრეზიდენტს, ეს რეზოლუცია გაუგზავნოს კომისიის ვიცე-პრეზიდენტს/კავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, საბჭოს, კომისიას, წევრი სახელმწიფოების მთავრობებსა და პარლამენტებს, ევროპის საბჭოს, ეუთოს, საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს“.



## კახა კალაძე:

# ყველამ კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქართველოა, ამის შეხსენება არავის არ უნდა სჭირდებოდეს

**„ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქართველოა და ამის შეხსენება არავის არ უნდა სჭირდებოდეს, მით უმეტეს, იმ ადამიანებს, ვინც ვითომ მეგობრებად მოგვევლინებიან.**

**თავიანთი განცხადებებიდან ჩანს, რომ მათ აქვთ ვიწრო პოლიტიკური ინტერესი. უკვე ავხსენი, თუ რა არის იმ რამდენიმე ევროპარლამენტარის პატარა პოლიტიკური ინტერესი, რომელთა სამარცხვინო განცხადებებს ვისმენთ. ეს არ არის პირველი შემთხვევა. წინა შემთხვევებიც გავიხსენე, თუ რა განცხადებები კეთდებოდა, თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისი თქმით, მმართველი გუნდისთვის მთავარია ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის გაძლიერება.

**„როდესაც საფრანგეთმა „უცხოური გავლენების გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო, გვახსოვს, რა დაედო ამ ყველაფერს საფუძვლად – შეემცირებინათ ამერიკული, რუსული, არაბული გავლენები თავიანთ ქვეყანაში. იგივე გვინდა ჩვენც, რომ შევამციროთ უცხოური გავლენები, ზოგიერთი რადიკალი კი გვეუბნება, მოდით, ისევ უცხოელებს ჰკითხეთ, როგორია აღნიშნული კანონიო“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

კითხვაზე – ხომ არ არის შეცდომა ყირგიზეთთან ერთად აფხაზეთის ცალკე ქვეყნად ხსენება, თბილისის მერი პასუხობს, რომ მომავალში ყველაფერი გაირკვევა.

**„ვერ გეტყვით. შეიძლება, მიზანმიმართული პროვოკაციაც იყოს. შევხედოთ“**, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

* * *

**„არავინ ეწევა ევროპული მომავლისა და ევროკავშირის ისეთ დისკრედიტაციას, როგორც ეს კონკრეტული ევროპარლამენტარი. თუმცა, ისიც ვიცით, როგორ ხდება ამ რეზოლუციების მიღება.**

**ალბათ, ცოტა ხანში FARA-ს დოკუმენტში ყველაფერი ასახული იქნება და საზოგადოებაც გაიგებს ამას. გვახსოვს ის რეზოლუციებიც, რომლითაც მოგვიწოდებდნენ, რომ თუ სააკაშვილი არ გათავისუფლდებოდა, სანქციებს არ მივუერთებდით, თუ მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა, ვერ მივიღებდით კანდიდატის სტატუსს, დავშორდებოდით დემოკრატიულ ღირებულებებს და ა.შ. ვიცით, ამ ყველაფერს რისთვის აკეთებენ“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**



## შალვა პაპუაშვილი:

# ზოგიერთი ცოტა ხანში ალბათ აღარც იქნება ევროპარლამენტში, დაბრუნდებიან საკუთარ ქვეყნებში, მშვიდად გადაბრუნდებიან და დაიძინებენ...

**„ევროპარლამენტის ეს მოწვევა თავის მანდატს ამოწურავს ცოტა ხანში. იცით, რომ ივნისში იქნება არჩევნები. ამიტომ, არსებობენ გარკვეული ჯგუფები თავად ევროპარლამენტში, რომელთა დამოკიდებულებაც ქართველი ხალხის მიმართ ცნობილია. ისინი ამოწურავენ მანდატს და ასეთი ტიპის პწკენები უფრო ტოვებს აღქმას, რომ ეს არის გარკვეული პირადი ვენდეტა, ბრაზი, რომელიც უნდათ გამოხატონ რეზოლუციის სახით.**

**ამ დეპუტატებიდან ზოგიერთი ცოტა ხანში ალბათ აღარც იქნება ევროპარლამენტში. ისინი დაბრუნდებიან საკუთარ ქვეყნებში, მშვიდად გადაბრუნდებიან, დაიძინებენ და ჩვენ ამ სიმშვიდის უფლება არ გვაქვს. როცა რაღაცებს უყურებენ ზედაპირულად, აძლევენ თავს ამის უფლებას, ჩვენ ამ ზედაპირულობის უფლება არ გვაქვს. მათ შორის, ალბათ ნახეთ, რომ ინიცირებულ რეზოლუციაში აფხაზეთი იყო ყირგიზეთთან მოხსენიებული, როგორც სახელმწიფო, ერთ წინადადებაში. ასეთ ხალხთან გვაქვს ურთიერთობა, რომლებსაც შემდეგ პრეტენზია აქვთ, რომ ესმით საქართველოს კონტექსტი, იციან, რა არის კარგი ქართველი ხალხისთვის და ისიც არ იციან, როგორი რუსული პროპაგანდა ჩადეს რეზოლუციის პროექტში, სადაც აფხაზეთი ყირგიზეთის გვერდით გამოიყვანეს ლამის სახელმწიფოდ.**

**თავისთავად, ასეთი თავქარიანი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ჩვენთვისაც მიუღებელია და ამიტომაც, რაიმე განსაკუთრებულ დატვირთვას ასეთ რეზოლუციას არ ვაძლევთ. მით უმეტეს, იმ გამოსვლების ფონზე, რომლებიც ვიხილეთ დებატების დროს, მოვისმინეთ იმავე ადამიანების კომენტარები, რომ გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია, ქვეყანამ იცოდეს, თანხები საიდან შემოდის“**, – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

* * *

**„მათი დამოკიდებულება არის გარკვეულად ქედმაღლური, ზემოდან დახედვა ქვეყნების მიმართ. ისეთი დამოკიდებულებაა, თითქოს ევროპარლამენტი არის ევროპა და საქართველო – არა. ჩვენთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ ისეთივე ევროპული ქვეყანა ვართ, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ქვეყნის მიმართ გარკვეული მეურვეობითი დამოკიდებულება, ქედმაღლური ყურება მიუღებელია. ეს რეზოლუცია არის სამწუხარო გამეორება რეზოლუციების სერიისა, რომლებიც ვიხილეთ და რომლებიც გაჯერებული იყო ცილისწამებით საქართველოს მიმართ, ცალკეული პირების მიმართ.**

**ამას გარკვეულწილად შეჩვეული ვართ. განსაკუთრებულად მიუღებელი იყო ერთ-ერთი ევროპარლამენტარის მხრიდან ქართულ პოლიციაზე თავდასხმა და ვთქვი კიდეც, რომ პოლიციაზე თავდასხმა არის სახელმწიფოზე თავდასხმა, რაც მიუღებელია“**, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**



# გია ვოლსკი: რეზოლუციაში აფხაზეთის თანასწორუფლებიან პოლიტიკურ ერთეულად მოხსენიება საქართველოს მიმართ ზოგიერთი ევროპარლამენტარის დამოკიდებულებას წარმოადგენს

**„კუბილიუსი და ევროპარლამენტის რამდენიმე დეპუტატი ის ბირთვია, რომლებიც საქართველოს მიმართ მუდმივად აგრესიულად არიან განწყობილი, ითხოვენ სანქციებს.**

**გამორიცხულია, არ ჰქონდეთ ინფორმაცია, რას წარმოადგენს დღეს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ტერიტორია და მათი მოხსენიება, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, ის პათოსია, რასაც ატარებენ. საქართველოს საკითხების მიმართ მათი დამოკიდებულება გამოიხატება თუნდაც ამ ერთ ფრაზაში, რომელიც მათი ხელმოწერით არის წარმოდგენილი საერთო რეზოლუციის სახით. ეს არის „ევროპის სახალხო პარტიის“ წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი, თუმცა სხვებიც არ აკლებენ. ეს არის პათოსი, მათი ხედვა – ყირგიზეთი და აფხაზეთი მოხსენიებულია, როგორც თანასწორუფლებიანი პოლიტიკური ერთეულები“**, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# რატი იონათამიშვილი: ევროპარლამენტის რეზოლუციებს რომ არავითარი ძალა არა აქვს და ვერაფერს ცვლის, ეს ევროპული სასამართლოდანაც კარგად ვიცით, ევროპის სირცხვილია დღევანდელი ევროპარლამენტი



**„ამბავი უნდა მოჰყვე, შეფასებაც არ სჭირდება – ევროპარლამენტმა რეზოლუციით მოითხოვა:**

**სააკაშვილის გათავისუფლება; ივანიშვილის დასანქცირება; გამჭვირვალობის კანონის გაწვევა; ოჯახური ღირებულებების საკონსტიტუციო ცვლილებების გაწვევა.**

**ავტორებმა, პროექტის დაინიცირებისას, აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოდ მოიხსენიეს. ამ ინსტიტუტის რეზოლუციებს რომ არავითარი ძალა არა აქვს და ვერაფერს ცვლის, ეს ევროპული სასამართლოდანაც კარგად ვიცით! ევროპის სირცხვილია დღევანდელი ევროპარლამენტი!“** – წერს **რატი იონათამიშვილი.**

# იაპონია, ფილიპინები და ამერიკა დაძმობილდნენ!

**ახლახან იაპონიის პრემიერ-მინისტრი ფუმიო კიშიდა ვაშინგტონს ეწვია. დედაქალაქი სტუმარს ხელგაშლით დახვდა. ან, რა გასაკვირია! იაპონია და სამხრეთ კორეა ნატოს არაწევრი სახელმწიფოებიდან, ყველაზე პროდასავლური ქვეყნებია. გარდა ამისა, იაპონია აზიის ერთ-ერთი ლიდერია. იაპონიის პრემიერი ჯერ ამერიკის პრეზიდენტს შეხვდა და მერე კონგრესს ეწვია, სადაც სიტყვით გამოვიდა.**



კიშიდა იაპონიის მეორე პრემიერია, რომელსაც ეს პატივი ხვდა წილად. უცხოელი ლიდერები იშვიათად გამოდიან ხოლმე კონგრესის წინაშე და ეს მხოლოდ ამერიკის უახლოესი მოკავშირეებისთვის, ან მსოფლიოდონის ფიგურებისთვისაა ხელმისაწვდომი. ამერიკამ ამით მსოფლიოს დაანახა, თუ რა პატივით ეპყრობა ის იაპონიას.

იაპონიის პრემიერი ჩრდილოეთ კაროლინას ეწვია, სადაც ის ბიზნესმენებს შეხვდა და ტოიოტას და ჰონდას ავტოქარხნები დაათვალიერა. ყველა ამ შეხვედრაზე, კიშიდა თავს გრძნობდა როგორც საკუთარ ქვეყანაში. მას და ჯო ბაიდენს ახლო ურთიერთობა ჯერ კიდევ, ობამას პრეზიდენტობიდან აქვთ. მათი შეხვედრა თეთრ სახლში დახურულ კარს მიღმა შედგა. ბაიდენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიისა და ამერიკის სტრატეგიული კავშირი ის ქვაკუთხედია, რომელზეც დემოკრატია და მშვიდობა აშენდება.

იაპონია ამერიკის გლობალური პარტნიორი გახდა და მისი გავლენა რეგიონიდან შორს, ევროპამდე და ახლო აღმოსავლეთამდე გავრცელდება, განაცხადა ბაიდენმა. ფუმიო კიშიდას ამერიკის კონგრესში გამოსვლით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი დასავლეთის ერთიანობასა და ამერიკის ლიდერობას. კიშიდამ რესპუბლიკელებს უკრაინის დაფინანსებაზე ვეტოს მოხსნისკენ მოუწოდა. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე, უკრაინა ომს წააგებს, რაც ჩინეთს გაათამამებს და აღმოსავლეთ აზიაში ახალ კრიზისს გამოიწვევსო, განაცხადა მან. იაპონიის პრემიერმა ხაზი გაუსვა მსოფლიოში ამერიკის უდავო ლიდერობას და სხვა ქვეყნების მიმართ მის პასუხისგებლობას. კიშიდას ფეხზე ადგომითა და მხურვალე ოვაციებით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს გამოსვლა. შედგა სამეულის, ბაიდენის, კიშიდასა და ფილიპინების პრეზიდენტ მარკოსის შეხვედრა. მათ ჩინეთის ზღვაში შექმნილი დაძაბული ვითარება განიხილეს, სადაც ერთმანეთს ხშირად ეჯახება ხოლმე ჩინეთისა და ფილიპინების ინტერესები. ჩინეთს ამ ზღვის აკვატორია თავისად მიაჩნია, რასაც ფილიპინები არ ეთანხმება. სამიტზე, ლიდერებმა გადაწყვიტეს, ჩინეთის დასანახად, ერთად და მტკიცედ დაიცვან ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა და დემოკრატია.

იაპონიის ლიდერის ვიზიტი ამერიკაში შედეგიანი აღმოჩნდა. ორმა ქვეყანამ 70-მდე ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ფართო არეალს მოიცავს, მათ შორის თავდაცვას, უსაფრთხოებასა და ეკონომიკას. გადაწყდა, რომ იაპონია უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს AUKUS-თან. ეს, ნატოსმაგვარი ორგანიზაციაა, რომელშიც ავსტრალია, ამერიკა და ბრიტანეთი შედის. მის მეთაურს ამერიკის ინდო-წყნარი ოკეანის სარდლობა დანიშნავს, რომელიც დამაკავშირებელი სამხედრო პირი იქნება იაპონიისა და ამერიკის შეიარაღებულ ძალებს შორის.

იაპონიის და ამერიკის თავდაცვის ძალები სისტემატურად გაცვლიან სადაზვერვო ინფორმაციას. რაც შეეხება ხელოვნურ ინტელექტს, მაიკროსოფტის ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნება ერთობლივი ამერიკულ-იაპონური სამეცნიერო ლაბორატორია, რისთვისაც სამი მილიარდი დოლარი დაიხარჯება. ასევე, ხელი მოეწერა კოსმოსის საერთო ათვისების ხელშეკრულებას. გადაწყდა, რომ ორი ქვეყანა მთვარეზე ერთობლივ კოსმოსურ მისიას გაგზავნის. ამერიკა კი, იაპონელ ასტრონავტებს მოამზადებს.



# უმცირესობამ უმრავლესობა მძევლად აიყვანა!

**ამას წინათ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთი სენსაციური და კურიოზული განაჩენი გამოიტანა, კერძოდ, სტრასბურგმა დაადგინა, რომ გლობალური კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები ადამიანის უფლებებს ბღალავს.**

ერთი წლის წინ, ეკო-აქტივისტებისა და ენჯეოების დახმარებით, შვეიცარიელ პენსიონერთა ერთმა ჯგუფმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა შვეიცარიის მთავრობის მიმართ გულგრილობისა და უმოქმედობის ბრალდებით. მათი აზრით, კლიმატის გლობალური ცვლილების გამო, ევროპაში, კერძოდ, შვეიცარიაში, მკვეთრადაა აწეული ჰაერის ტემპერატურა, რამაც გვალვები გამოიწვია. ზაფხულის სიცხე და, შესაბამისად, მაღალი ტემპერატურა მძიმედ მოქმედებს ხანდაზმულთა ჯანმრთელობაზე. მოსარჩელეები ცდილობდნენ, სასამართლოში დაემტკიცებინათ, რომ ჰაერის მომატებულ ტემპერატურაზე პასუხისმგებლობა, უმეტესწილად, შვეიცარიის ხელისუფლებას ეკისრება, რადგან მთავრობამ მასზე დაკისრებული ვალდებულება სითბური გაზების გამონაბოლქვის გაზის ემისია კი გლობალურ დათბობას იწვევს, რის გამოც ზაფხულში დიდი სიცხის დროს ასაკოვანი ხალხი სახლიდან ვერ გადის.

საბოლოოდ, სასამართლომ მათ მხარი დაუჭირა და დაადგინა, რომ შვეიცარიამ მართლაც არ შეასრულა კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, რითიც ქვეყნის ყველა მცხოვრების, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა, უფლებები დაარღვია. სტრასბურგის სასამართლომ, წინათ ამგვარი ორი სარჩელი არ დააკმაყოფილა. ერთი, პორტუგალიელ ეკო-აქტივისტებს, მეორე კი, ნორმანდიის ერთი პატარა ქალაქის მერს ეკუთვნოდა. ორივე საქმეში სტრასბურგმა მომჩივნებს უარი უთხრა. ახლა კი, პირიქით მოხდა. სტრასბურგში მისვლამდე, შვეიცარიელმა მომჩივნებმა ქვეყნის ყველა სასამართლო ინსტანცია გაიარეს, მათ შორის, შვეიცარიის უზენაესი სასამართლო, და ყველგან უარი მიიღეს.

მოკლედ, სტრასბურგის სასამართლოს განაჩენმა სენსაცია მოახდინა, თუმცა, ევროპის საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. ეკო-აქტივისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები გახარებული არიან. იურისტები, ექსპერტები და პოლიტიკოსები კი, ნეგატიურად შეხვდნენ ვერდიქტს. მათი აზრით, სტრასბურგმა ადამიანის უფლებების დაცვის ახალი დეფინიცია გამოიგონა.

განაჩენი იმდენად ბუნდოვნადაა დასაბუთებული რომ, მისი მიბაძვით, ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით, ყველას შეუძლია რაღაცაზე ჩივილი. რაც მთავარია, განაჩენი ევროპის ქვეყნების მთავრობათა უფლებებს ბღალავს, ერევა რა მათ შიდა პოლიტიკაში. როგორც ერთმა შვეიცარიელმა ექსპერტმა განაცხადა, ადამიანის უფლებათა სასამართლო იმისთვის არსებობს, რომ მოქალაქეებს უფლებათა დაცვაში დაეხმაროს, და არა იმისთვის, რომ მთავრობას უკარნახოს, როგორი პოლიტიკა გაატაროს. ამ განაჩენით კი, გამოდის, მთელმა შვეიცარიამ უნდა გაითვალისწინოს მომჩივანთა ერთი ჯგუფის მოთხოვნები.

განაჩენმა პრეცედენტი შექმნა. თუ ევროპის მასმედიას დავეყრდნობით, ბრიუსელი შიშობს, განაჩენმა, შეიძლება, საჩივრები მოაზღვავოს. ჟურნალისტები ხუმრობენ, განაჩენმა ყირამალა დააყენა დემოკრატიაო, რადგან, გამოდის, რომ უმცირესობას შეუძლია უმრავლესობა მძევლად აიყვანოს და ყველაფერი უკარნახოს. სტრასბურგს თუ დავუჯერებთ, მალე, უკრაინის ომის მიმართაც გამოჩნდება მომჩივანთა ჯგუფი.

ჟურნალისტური ხუმრობა გვერდზე იყოს და, მართლა რა შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანის უფლებები დემოკრატიას დაუპირისპირდება?



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ამერიკელი სტუდენტები პალესტინელთა მხარდასაჭერ აქციებს აგრძელებენ

**ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში პალესტინის მხარდამჭერი აქციები გრძელდება.**

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ღაზაში მცხოვრები პალესტინელების მხარდამჭერი აქციები განახლდა. როგორც ცნობილია, დააკავეს აქციის რამდენიმე მონაწილე. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მომიტინგეებს კამპუსის დაცვამ კარვების დაშლა სთხოვა.

აქციები ასევე გაიმართა კოლუმბიის, იელის, ნიუ იორკის უნივერსიტეტებშიც. რამდენიმე კამპუსში კი აქციის მონაწილეებმა კარვები გაშალეს. კოლუმბიის, იელისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტებში ასობით სტუდენტი დააკავეს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ბოლო დროს აშშ-ის უნივერსიტეტებში პალესტინის მხარდამჭერ პროტესტებს ეხმაურება და მათ ანტისემიტურს უწოდებს.

**„ანტისემიტურმა ბრბომ წამყვანი უნივერსიტეტები მოიცვა. ისინი ისრაელის განადგურების მოწოდებებით გამოდიან, თავს ესხმიან ებრაელ სტუდენტებსა და ებრაულ ფაკულტეტებს. ეს არის 1930 წელს, გერმანიის უნივერსიტეტებში მომხდარის გამეორება. ეს არასწორია და უნდა შეწყდეს. ეს ცალსახად უნდა იყოს დაგმობილი. მაგრამ ეს ჯერ არ დაუგეგმიათ“,** – ამბობს ნეთანიაჰუ.



# ამერიკელი „ატაკამსები“ უკრაინას საიდუმლოდ გადაეცა

**ეროვნული** უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი **ჯეიკ სალივანი** ადასტურებს აშშ-ის მიერ „ატაკამსის“ ტიპის რაკეტების უკრაინისთვის საიდუმლოდ გადაცემას.

**„შემიძლია, დაგიდასტუროთ, როგორც უკვე სხვებისგან გსმენიათ, რომ თებერვალში აშშ-ის პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, უკრაინისთვის გარკვეული რაოდენობის „ატაკამსის“ ტიპის რაკეტები მიგვეწოდებინა მათსავე სუვერენულ ტერიტორიაზე გამოსაყენებლად. რაკეტების გადაცემა დაიწყო მარტში და სამხედრო დახმარების პაკეტში შედიოდა. „ატაკამსები“ უკრაინაში უკვე ჩავიდა“,** – განაცხადა სალივანმა□

რაკეტები 12 მარტს აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მიერ დამტკიცებულ 300 მილიონი დოლარის ოდენობის სამხედრო დახმარების პაკეტში შედიოდა. უკრაინამ კი რაკეტები ბრძოლის ველზე 17 აპრილს, ოკუპირებულ ყირიმზე თავდასხმისას გამოიყენა.




## რას შეცვლის საქართველოსთვის ევროკავშირში უნგრეთის თავმჯდომარეობა?

# 6–9 ივნისის შემდეგ ევროკავშირში „საქართველოს მტრები" აღარ იქნებიან!

**ევროკავშირის შემდეგი ხელმძღვანელი ქვეყანა უნგრეთია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 ივლისიდან ევროკავშირს მომდევნო 6 თვის განმავლობაში ვიქტორ ორბანი უხელმძღვანელებს. ეს კი აჩენს შესაძლებლობას, რომ საქართველოს საკითხი მისი ეროვნულ ინტერესების შესაბამისად იქნეს განხილული. ამასთანავე, ევროპარლამენტის შემდეგი არჩევნები 2024 წლის 6-9 ივნისს გაიმართება. არჩევნებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების 400 მილიონი მოქალაქე საკანონმდებლო ორგანოს 705 წევრს აირჩევს.**

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში არჩევნები ტარდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ოთხდღიანი პერიოდის განმავლობაში და ითვლება მსოფლიოში ყველაზე დიდ ტრანსნაციონალურ პროცესად. საკანონმდებლო ორგანოს განახლება ასევე იწვევს ცვლილებებს ევროკომისიის და ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელობაში. ევროკომისიის პრეზიდენტს, **ურსულა ფონ დერ ლაიენს** ჯერ არ დაუდასტურებია, აპირებს თუ არა კენჭი იყაროს ევროკომისიის პრეზიდენტად მეორე ხუთწლიანი ვადით, თუმცა არსებული ინფორმაციით **ურსულა ფონ დერ ლაიენი** არ აპირებს ხელმეორედ გახდეს ევროკომისიის პრეზიდენტი.

ადრეული პროგნოზით, ვარაუდობენ, რომ მემარჯვენე-ცენტრისტული ევროპის სახალხო პარტია (EPP) დაკარგავს თითქმის 20 ადგილს, მაგრამ დარჩება უდიდეს ფორმირებად 163 ევროპარლამენტართან ერთად. მეორე ადგილზე კი სოციალისტების და დემოკრატების ჯგუფი იქნება, 141 დეპუტატით. ეს, ჯერ მხოლოდ პროგნოზია, თუმცა ცხადია, რომ ივნისის არჩევნების შემდეგ ევროპარლამენტში ბევრი დეპუტატი შეიცვლება და მათ შორის ისინი, რომლებიც ღიად არიან ჩართული ქართულ პოლიტიკურ პროცესებში და რადიკალურ ძალებს კარნახობენ პოლიტიკურ დღის წესრიგს.

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **ირაკლი გოგავა** ამბობს, რომ სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ელოდებიან, რომ მემარჯვენე ანუ ტრადიციონალისტთა რიცხვი ევროპარლამენტში გაიზრდება. მისი თქმით, 9 ქვეყანაში (ავსტრია, უნგრეთი, სლოვაკეთი, ჰოლანდია, ჩეხეთი, პოლონეთი, იტალია, ბელგია, საფრანგეთი) პირველ ადგილზე არიან ტრადიციონალისტები. მეორე და მესამე ადგილზე გადიან ტრადიციონალისტები შემდეგ 9 ქვეყანაში: ესტონეთი, გერმანია, ბულგარეთი, ლატვია, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, ფინეთი.

**„კვლევების მიხედვით, ევროპარლამენტის თითქმის ნახევარი არამეინსტრიმული პოლიტიკური ჯგუფების მიერ დაკომპლექტდება. მეინსტრიმულში იგულისხმება: ევროპის სახალხო პარტია, ევროპელი სოციალისტები და ლიბერალები. ეს კი ნიშნავს, რომ კონსერვატორები, ქრისტიან-დემოკრატები და რადიკალური მემარჯვენეები ახალ უმრავლესობას ჩამოაყალიბებენ და ეს ევროპარლამენტის ისტორიაში პირველად მოხდება",** – აცხადებს **გოგავა**.

ევროპარლამენტის მემარჯვენე უმრავლესობა გავლენას მოახდენს ევროკავშირის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა, მისი თქმით, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპარლამენტის უფლებამოსილებები შეზღუდულია და მეტი ძალაუფლება ევროპის საბჭოს და ევროკომისიას გააჩნია.

„მემარჯვენე ძალებისგან აღსანიშნავია ავსტრიული „თავისუფლების პარტია", უნგრული „ფიდე", გერმანული „ალტერნატივა გერმანიისთვის". ეს პარტიები უნგრეთის ლიდერის **ვიქტორ ორბანის** მეთაურობით აპირებენ კონსერვატული ძალების კონსოლიდაციას ევროპის პარლამენტში და ბრიუსელის ბიუროკრატიაზე კონტროლის გაძლიერებას.

**ჩვენთვის საინტერესოა, რომ 1 ივლისიდან უნგრეთი ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა და 6 თვის განმავლობაში ვიქტორ ორბანი უხელმძღვანელებს ევროპის საბჭოს – ევროკავშირის მთავარ მმართველ ორგანოს. ეს კი აჩენს შესაძლებლობას, რომ საქართველოს საკითხი მიკერძოებულად არ იქნას განხილული და ევროკავშირთან მოლაპარაკებები არა უსაგნო დათქმებით და ულტიმატუმებით წარიმართოს, არამედ საქართველოს ეროვნულ ინტერესების შესაბამისად.**

**საარჩევნოდ თუ ვინმე სახელმწიფო გადატრიალებას მოინდომებს საქართველოში, ამის დალაგებაც გაჭირდება ევროკავშირში. პრეზიდენტი ორბანი შავზე თეთრიაო არ იტყვის. გარდა ამისა, ევროკავშირს ქაოსი საქართველოში არ აწყობს, რადგან შუა აზიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე წვდომა შეეზღუდება. მოკლედ, ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ მიდის, მთავარია, ჩვენ დავიცვათ ჩვენი სუვერენიტეტი და მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული პრინციპული პოლიტიკა ვაწარმოოთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უნდა ველოდოთ პატივისცემას უცხოური ძალის ცენტრებისგან",** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ირაკლი გოგავამ**.

კარდინალურ ცვლილებებს არ ელოდება ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე**, რომლის განცხადებით, უნგრელები თითქოს დამოუკიდებელ პოლიტკას ატარებენ, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ გატარებას, მაგრამ როცა საქმე-საქმეზე მიდგება და ეს ქვეყნის კეთილდღეობას ეხება, ასევე ევროკავშირიდან დახმარების მიღებას, როგორც წესი, ბოლო მომენტში უნგრელები ცვლიან პოზიციას.

**„ასე რომ, არა მგონია უნგრეთმა საკუთარ თავს პრობლემები შეუქმნას იმით, რომ ის თუ თავმჯდომარე იქნება, რაღაცა ისეთი მოიმოქმედოს, რაც მთლიანად ევროკავშირის ხაზის საწინააღმდეგო იქნება. რა თქმა უნდა, დაიცავს თავის პოზიციებს მანამდე, სანამ შეუძლია, რომ მიიღოს მაქსიმუმი იმ შესაძლებლობებიდან, რაც შეიძლება უნგრეთმა მიიღოს. უნგრეთში იმის გამო, რომ ევროკავშირის ტრანშები იქნა შეჩერებული გარკვეული მოსაზრებების გამო, იმიტომ, რომ უნგრეთის პოზიციასთან დაკავშირებით ვიცით რა მოხდა, მან უნგრეთის ეკონომიკაზე საკმაოდ ცუდად იმოქმედა და ახლა ორბანის მთავარი ამოცანა არის, რომ შიდა პოლიტიკური არეულობები ჩააცხროს.**

**ვიცით, რომ დაწყებულია ანტიორბანისეული გამოსვლები და რაღაცნაირად შეეცდება ეროკავშირთან ურთიერთობა დაალაგოს. ამიტომაც, მე არ ველოდები უნგრეთის თავმჯდომარეობიდან რაღაც განსაკუთრებულ ცვლილებებს და ძვრებს. ერთადერთი რაც ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება მიიღოს აქედან, უნგრეთმა უფრო აქტიურად დაუჭიროს მხარი საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესს, ანუ როგროც თავმჯდომარე ქვეყანამ, თავისი სიტყვა შეაწიოს, რომ ევროკავშირმა საქართველოსთან მოლაპარაკებები გახსნას წევრობის თაობაზე, თუმცა, რამდენად მოხდება ეს, აქ უკვე ბევრი კითხვა ისმის",** – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე**.

რაც შეეხება ევროპარლამენტის არჩევნებს, ანალიტიკოსის შეფასებით, პროგნოზის გამოთქმა ახლა რთულია, მაგრამ ფიქრობს, რომ იმ პროცესების ფონზე, რაც ახლა მიდის, უკრაინის ომი და ამ ომის შედეგად ევროპის, პრაქტიკულად, აშშ-ის ვასალად გადაქცევა, მისი ეკონომიკის გაუარესება და ბევრი სხვა ნეგატიური მოვლენები, რის გამოც ევროპელ ამომრჩევლებს ქამრების შემოჭერა მოუწიათ, შესაძლოა, ამ არჩევნებზე წარმატების შანსი გაუჩნდეთ ევროსკეპტიკურ ძალებს, ანუ ევროიზოლაციონისტებს.

**„მათ შეიძლება მოიპოვონ რაღაც დამატებითი მანდატები, მაგრამ საბოლოოდ, რამდენად აღმოჩნდება ეს გადამწყვეტი ევროპარლამენტის კონფიგურაციის შექმნისას, ამაზე ჯერ საუბარი ნაადრევია. ის გამოკითხვები, რასაც გავეცანი ევროპარლამენტის არჩევნების წინ, მკაფიო სურათს არ იძლევა. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ იმას, რომ ის ოდიოზური ევროპარლამენტარები, რომლებიც ახლა არიან და იქ საქართველოს ხელისუფლებას ებრძვიან, შესაძლოა, იქ აღარ იყვნენ",** – აღნიშნა **ზაალ ანჯაფარიძემ**.

**თამთა ქარჩავა**

# რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართველი, აფხაზი და ოსი აგენტების დახმარებით საქართველოს მიწა-წყლის 20%-ის ოკუპაცია და ანექსია მოახდინეს!

(მეხუთე გვერდიდან)

**ე. შევარდნაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: მართალია, ი. გიორგაძე მე არ მემორჩილებოდა, მაგრამ ერთი თხოვნა (და არა ბრძანება) მაინც შემისრულა, როცა აფხაზეთში ჯარით მიმავალი თ. კიტოვანი ზესტაფონთან დააკავაო. მე ვიცოდი, რომ კიტოვანის განზრახვის წინააღმდეგი მოსკოვიც იყოო. ამიტომ ი. გიორგაძეს ვუთხარი, თუ ჩემი არ გჯერა, იმათ შეეკითხე, ვისიც გჯერავს-თქო, ე. ი. მოსკოვს შეეკითხე-თქო.**

**საიდან უნდა სცოდნოდა შევარდნაძეს მოსკოვი რას ფიქრობდა? რუსებს უთანხმებდა სამხედროების სამოქმედო ოპერაციებს?**

**ეს უპრეცენდენტო ფაქტია მსოფლიო ისტორიაში!** დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი უშიშროების მინისტრს ეუბნება ჩემი თუ არ გჯერა, შეეკითხე იმას, ვინც მინისტრის სავარძელში ჩაგსვაო. ასეთი შეცდომები დიდ პოლიტიკოსს არ უნდა მოსდიოდეს.

* * *

**სოხუმის დაცემა ისე განვიცადე თავის მოკვლა გადავწყვიტეო, აცხადებს შევარდნაძე. ჩემი განზრახვა ვაცნობე ტიაჟელნიკოვსო (ტიაჟელნიკოვი იყო საბჭოთა კავშირის კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივანი, შემდეგ კი სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა), რომელმაც უყურადღებოდ დატოვა ეს შეტყობინებაო (მან კარგად იცოდა, შევარდნაძე თავის მომკვლელი რომ არ იყო), შემდეგ ჯ. იოსელიანმა გადამაფიქრებინა თავის მოკვლაო, ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ სოხუმის დაცემასთან დაკავშირებით თავის მოკვლის გადაწყვეტილება პირველად ამ ომში მის მოწინააღმდეგეს აცნობა – ე. ი. მისი დაშანტაჟება სცადა!**

ამ ფაქტიდან ასეთი ლოგიკური დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: სოხუმის გადაცემა წინასწარი შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული, შევარდნაძე მიხვდა, რომ სოხუმის დაკარგვის გამო იგი საქართველოში საერთო სასაფლაოზე დამარხვას ვერ ეღირსებოდა. ამიტომ, ადამიანურად, გასაგებია მისი განცდები. იგი რუსეთის სპეც.სამსახურებმა მოატყუეს. მას, როგორც გამოცდილ პარტიულ მუშაკს და დიპლომატს, უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთთან არათუ ჯენტლმენური, არამედ ათბეჭედდასმული შეთანხმებაც კი, როგორც უ. ჩერჩილი ამბობდა, იმ ქაღალდის ტოლფასია, რაზეც ისაა დაწერილი. რაც შეეხება თავის მოკვლას, ცხადია, ასეთი განზრახვა შევარდნაძეს საერთოდ არ ექნებოდა. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ თავს ასე არ იკლავენ, არ ეკითხებიან ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს და ა.შ. (რუსეთის იმპერატორმა, ნიკოლოზ პირველმა როდესაც გაიგო სევასტოპოლის დაცემის შესახებ, 1855 წელს თავი მოიკლა. ზოგიერთები კი ომსაც აგებენ, ტერიტორიებსაც კარგავენ, მაგრამ თავის მოკვლა კი არა, თანამდებობების დატოვებაც არ სურთ).

**შევარდნაძე სიცოცხლის ბოლომდე თავს იტყუებდა თუ სხვების მოტყუებას ცდილობდა ეს რთული ფსიქოლოგიური ფენომენია და მას საგენგებო შესწავლა ესაჭიროება.**

სოხუმის დაკარგვის გამო შექმნილი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით, შევარდნაძემ მოინდომა (თუ სხვებმა უკარნახეს) აფხაზეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაცია, რაც, როგორც ი. კვესელავა წერს, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ალ. ჩიკვაიძის აზრით, დიდი შეცდომა იყო. შეცდომა კი არა, ვირეშმაკური ჩანაფიქრი იყო. ინტერნაციონალიზაციის გზით შევარდნაძეს სურდა, მისი ბრალეულობა სხვებისთვის დაეკისრებინა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, საკითხის ინტერნაციონალიზაციით ინგლისმა შეძლო იმ დროს მისი მთავარი მოწინააღმდეგის, ესპანეთისგან არგენტინის ჩამოცილება; 1859 წელს, სარდინიის პრემიერ-მინისტრმა, კავურმა ხელი მოაწერა ვილაფრანკის ზავს, რამაც მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მან საიდუმლო, ჯენტლმენური შეთანხმება დადო საფრანგეთის იმპერატორთან ნაპოლეონ III-სთან (საფრანგეთის წარმომადგენელს კატეგორიული, მკაცრი ტონით უნდა მოეთხოვა მისგან ზავის პირობების შესრულება) და შეძლო ხალხის უკმაყოფილების განეიტრალება; 1938 წელს, მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე, ჩეხოსლოვაკია იძულებული გახდა, მშვიდობიანი გზით, კანონიერად სუდეტის ოლქი გერმანიისთვის გადაეცა და ა.შ.

ასე მთავრდება ხშირად შიდა კონფლიქტები, როდესაც სახელმწიფოს მესვეურებს, საკუთარი ძალებით მათი მოგვარება არ შეუძლიათ და საერთაშორისო რეზონანსის იმედი აქვთ. შევარდნაძე იტყოდა: მე ყველაფერი ვიღონე, მაგრამ სხვა სახელმწიფოებმა ასე გადაწყვიტეს და მე რა მექნა, ძალა აღმართს ხნავსო.

**რუსების წინააღმდეგ „გმირულად" მებრძოლი, რამდენიმე ასეული რუსი ჯარისკაცის მკვლელი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თ. კიტოვანი, წაგებული ომის შემდეგ ხალხის რისხვას გაექცა და თავი მოსკოვს შეაფარა.**

**ხალხო, ქართველებო, გამოიფხიზლეთ ყურები და თვალები ფართოდ გაახილეთ, ნუთუ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ!!!**

შევარდნაძეს არაერთხელ უთქვამს აფხაზეთში ომის დროს ღალატს ჰქონდა ადგილიო. შექმნეს გაგრის დაცემის მიზეზების შემსწავლელი და სხვა კომისიები, მაგრამ არა ჭეშმარიტების დასადგენად და მოღალატეების გამოსავლენად, არამედ ხალხის გასაცუცურაკებლად. გაბითურებული ქართველები კი ელოდნენ ფანჯრების წინ როდის ჩამოუტარებდნენ ბორკილებდადებულ ჯაშუშებს. ვინმეს გაგიგონიათ აფხაზეთში ომის დროს დაჭერილი ჯაშუშების შესახებ?

**გავაგრძელოთ ფაქტების ჩამოთვლა თუ ესეც საკმარისია გარკვეული დასკვნების გამოტანისთვის?**

ალბათ, საკმარისია. ჭეშმარიტება ერთია: **რუსეთმა, რუსეთის სპეც-სამსახურებმა ქართველი, აფხაზი და ოსი აგენტების დახმარებით მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და ანექსია.**

ამ ომების დროს საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ საიდუმლო დოკუმენტებზე, ან სხვა უბრალო მოკვდავთათვის უცნობ ფაქტებზე, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და იმედი უნდა ვიქონიოთ, სანამ მიქელ გაბრიელი წასაყვანად მიაკითხავს, თავიანთი წერილებით, მოგონებებით კიდევ უფრო განამტკიცებენ ამ დასკვნას. თუმცა, განსამტკიცებელი და დასამტკიცებელი არაფერია, ყველაფერი ხელისგულზე დევს.

**ვაჟა თვალავაძე**

ტელ: 555 12 54 03

# ტოლი ნახეთ და კოჭი ისე გააგორეთ!




კორუფციის ბუდედ ქცეულ ევროპარლამენტში ყატარგეიტის შემდეგ ახალი სკანდალები აგორდა რაშაგეიტისა და ჩაინაგეიტის სახით

## ანუ ფორსმაჟორში ჩატარებული მასტერკლასი

**რამდენიმე დღის წინათ დავით კაჭარავა და ქეთი ხატიაშვილი პირველი საერთო შვილის მშობლები გახდნენ, რასაც ჩვენს საამაყო სპორტულ ოჯახს სულითა და გულით ვულოცავთ! წესითა და რიგით, საუბარს აღნიშნული სასიხარულო ფაქტის შესახებ უნდა ვაგრძელებდეთ, მაგრამ მაშინ, როცა რადიკალური ოპოზიციის წაქეზებითა და ახალგაზრდობის აქტიურობით დედაქალაქში დენთის სუნი ტრიალებს, სამშაბათს საღამოს კი სანაპიროზე განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში სწორედ სახელოვანი „ბორჯღალოსანი" და „ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი აღმოჩნდა, ბუნებრივია, განზრახვა შევცვალეთ და აქცენტი ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის აქტუალურ საკითხზე შევაჩერეთ.**

უპირველესად, მკითხველსა და განსაკუთრებით სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ სტუდენტობას შევახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრმა სარაგბო კარიერა „ცენტურიონის" სტატუსით დაასრულა, ეს კი ეროვნულ ნაკრებში 100 და მეტი შეხვედრის გამართვას გულისხმობს, რაც ავტომატურად გამორიცხავს მრისხანე მეტოქეებთან გადატანილ ღირსეულ ბრძოლებში გამობრძმედილი დეპუტატის დაშინებას თუნდაც მრავალრიცხოვანი პროტესტანტებისგან.

მართლაც, ახალგაზრდა პოლიტიკოსი ჯერ სამაგალითოდ გაუმკლავდა ჟურნალისტთა შტურმს, ხოლო შემდეგ, მანქანიდან გადმოსულმა, უკვე აქციის მონაწილეთათვისაც მოიცალა და, როგორც გამოცდილმა ორატორმა, აკადემიურად განმარტა განხეთქილების ვაშლად ქცეული „რუსული კანონის" ქართული არსი, მონოლოგი კი ხელისუფლების გაზრდილ პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილებით დაასრულა. პარალელურად, გაქსუებული ქაჯი გრიგოლია ტვ პირველიდან გაჰკიოდა, ეს დეპუტატი კრემლისტური ხალხის ძალიდანააო. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ყველაფერი დაძაბული ვითარებისა და „მონას" სკანდირების თანხლებით ხდებოდა, რასაც ხელი არ შეუშლია საკუთარი ნააზრევის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული თხემით ტერფამდე ქართველი მამულიშვილისთვის სათქმელი ადრესატებამდე შეულამაზებლად და დამაჯერებლად მიეტანა.

მოკლედ, ეს გახლდათ ფორსმაჟორში ჩატარებული მასტერკლასი, რაც, ვიმედოვნებთ, მსმენელთა გარკვეული ნაწილის მხრიდან მაინც საკადრისად იქნებოდა შესმენილი და გაანალიზებული, ხოლო რა ძალა აქვს არგუმენტებით გაჯერებულ მართალ სიტყვას, კარგად გამოჩნდა იმავე დღეს ევროპარლამენტში დადგმული სამარცხვინო მასკარადის დროს, სადაც საპატიო სტუმრად მიწვეული კრიმინალის – გვარამიას მონაწილეობით თითქმის საერთოდ ცარიელ დარბაზში საქართველოს საკითხი განიხილებოდა.

ტრადიციისამებრ, ნაციონალურ-ფაშისტური მოძრაობის ვექილ-ლობისტებმა უმოწყალოდ იძალადეს საბრალო მიკროფონზე, როცა მცირერიცხოვან კოლეგებს თავბრუ დაახვიეს დამოუკიდებელი ქართული მთავრობის კრიტიკით და უცერემონიოდ მოითხოვეს ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის, „ოცნების" „პრორუსული" 83 დეპუტატისა და პროევროპული მიტინგების მონაწილეთა დარბევის ლიდერ სამართალდამცველთა დასანქცირება, ჩაროზად კი სააკოვის „სვაბოდაზე" გამოშვების „უკაზი" გასცეს, მაგრამ ცალ კარში თამაში კლერ დეილიმ და მიკ უოლასმა ჩაუფლავეს, რომლებმაც პირუთვნელად განუცხადეს ჩვენი ქვეყნის დამაქცევართა არცთუ უანგარო მეგობრებს, რომ საქართველო, დღეს მაინც, დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორმე თვითონ გადაწყვეტს, რომელი კანონები მიიღოსო.

ზემოთ ანგარება ვახსენეთ და, სხვათა შორის, კორუფციის ბუდედ ქცეულ ევროპარლამენტში ყატარგეიტის შემდეგ ახალი სკანდალები აგორდა რაშაგეიტისა და ჩაინაგეიტის სახით, ბრიუსელში ზაფხულში დანიშნული არჩევნების წინ კი იქაურ მაღალჩინოსანთა დადანაშაულება რუსეთისა და ჩინეთის სასარგებლოდ ლობირებასა და ჯაშუშობაში კიდევ უფრო ლახავს წამყვანი ევროსტრუქტურის ისედაც შებღალულ იმიჯს.

**და ბოლოს: ოთხშაბათს ციხე დატოვა პოლიციელთა „რისხვამ" ლაზარე გრიგორიადისმა, ასე რომ, წინ ცეცხლოვანი მეორე სერიაა.**

**გია პლატონიშვილი**

**მინაწერი:**

**შარშან, მარტის მღელვარე დღეებში, „რუსული კანონის" გაწვევის შემდეგ, ზოგიერთი „ქომაგის" საპასუხოდ დავით კაჭარავა აცხადებდა, რომ 20 წელი სიამაყითა და პასუხისმგებლობით ატარა ნაკრების კაპითი – რუსეთთან საქართველოს გამარჯვების ყველაზე დიდი სიმბოლო და იქვე დაამატა: „თქვენ მასწავლით, რუსებთან როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ გავიმარჯვოთ?! მიმიფურთხებია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ჩემი 20 წელიწადი 2 დღეში გაყიდა და იფიქრა, რომ მე სამშობლო რუსეთში გავცვალე ისე, რომ კითხვაც არ დამისვა – რა ხდება, კაჭიო. ეს ისე, სხვათა შორის, ასე რომ"...**

**გ. პ.**

⊙ გზა დაელოცოს!



## ისინი ფეხბურთით სუნთქავენ

**გიორგი ნემსაძე, კახა კაჭარავა, გია გეგუჩაძე, კახა კაშია, გიორგი დევდარიანი, თამაზ გოკერია, გიორგი ცეცაძე – ეს ის ხალხია, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის შენების საშვილიშვილო პროცესში ერთი აგურის დადებით მაინც რომ შეუტანია ღირსეული წვლილი და დღესაც წარმატებით ცდილობს მოწოდებად ქცეული საქმის მსახურებას.**

დასტურად სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" გამართული თავყრილობა გამოდგება, სადაც **გიორგი ჯიაბრიშვილმა** თანამოაზრეთა გადაწყვეტილება ამცნო შეკრებილ საზოგადოებას ქართული ფეხბურთის პროფკავშირის დაფუძნების შესახებ.

ეს გახლავთ სამამულო ფეხბურთში დასაქმებულ მწვრთნელთა, მენეჯერთა და კლუბების წარმომადგენელთა დიდი ხნის ოცნების ასრულება, ხოლო ახალი სტრუქტურის შედარებით მცირე მასშტაბის წინამორბედად **ჯაბა მუჯირის** მიერ 90-იან წლებში შექმნილი ფეხბურთელთა პროფესიული კავშირი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც თავის დროზე დაკისრებული მისია შეძლებისდაგვარად შეასრულა და უკვე ახლო წარსულად გვევლინება.

იურიდიული, პროფესიული და სოციალური მიმართულებები – ეს გახლავთ წლევანდელი საამაყო სანაკრებო გაზაფხულის არანაკლებ წონადი პირმშოს პრიორიტეტული სამოღვაწეო ასპარეზი, რომელმაც ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვე საფეხბურთო გამოწვევებს და სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარებაში გამორჩეული წვლილი შეიტანოს.

როგორც ცნობილმა იურისტმა **დავით ეგრალიძემ** აღნიშნა, მართალია, მიზანი თითოეულ ორატორს ერთი აქვს, მაგრამ დემოკრატიის თანახმად არც სხვადასხვა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები და არგუმენტების მოშველიებით წარმართული ცხარე კამათია გამორიცხული, რამაც ჭეშმარიტებამდე უნდა მიგვიყვანოს ფეხბურთის ფედერაციასთან აქტიური თანამშრომლობით.

მსჯელობისას საყურადღებო ციფრებიც გაჟღერდა: კრისტალბეთ ეროვნული ლიგის პირველ, ანუ ელიტურ დივიზიონში 235 მოთამაშეა შეყვანილი გუნდების განაცხადში, საიდანაც მესამედი (80) ლეგიონერია, მაგრამ მათგან ძნელია თუნდაც ისეთი მაღალი დონის მოწვეული ოსტატის დასახელება, როგორიც ჩისკო ან კიდევ რამდენიმე მისი კოლეგა იყვნენ.

საინტერესო პოზიცია გამოითქვა ლიცენზირებულ მწვრთნელთა თაობაზეც – 59 ასეთი სპეციალისტი ჩვენისთანა ქვეყნისათვის ბევრიაო. ბუნებრივია, სადავო თემაა, თუმცა მაშინ, როცა ზოგან, პირიქით, განსწავლულ თავკაცთა სიმცირეს უჩივიან, ჩვენ რა ზიანი უნდა მოგვაყენონ შესაბამისი დიპლომის მფლობელებმა?

**მოკლედ, გზა დავულოცოთ ჯერჯერობით უცხო ხილს, რომელსაც მალე სასიკეთო ნაბიჯების გადადგმას ვუსურვებთ.**

⊙ დაე, იყეფონ!

## უმადურობა, მაგრამ ასეთი?!.

**დღეს ზუსტად 1 თვე შესრულდა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ისტორიული გამარჯვებიდან, მაგრამ ბოღმის თაიგული – ნაციონალური მოძრაობა და მისი გერი ოპოზიციური პარტიუკები ვერა და ვერ ეგუებიან ჯვაროსანთა მიღწევაში მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ შეტანილ სოლიდურ წვლილს და ბუზის სპილოდ წარმოჩენას ჩვეული უტიფრობით ცდილობენ, ოღონდ ეგაა, მსგავსი სამარცხვინო ჭინთვები, ტრადიციისამებრ, ავტოგოლებით სრულდება.**

ამჯერად ეშმაკის მოციქულთა ღრეჭვის საგნად ჩვენი საამაყო გუნდისათვის ფონდ ქართუს მიერ დაწესებული 30-მილიონიანი პრემია იქცა – სად იყო აქამდე ბიძინა ივანიშვილი, ბიჭები ასე გვიან რომ გაახსენდაო. მათი სიბრიყვე იქამდე მივიდა, რომ ქართული სპორტის სამაგალითო მეცენატს მორიგი ქველმოქმედება არჩევნებამდე 6 თვით(!) ადრე წინასაარჩევნო ტრიუკად ჩაუთვალეს – ასე ცდილობს საპროტესტო აქციების მხარდაჭერისათვის განდგომილთა მომადლიერებასო, ამ დროს კი თვალს ხუჭავენ, რომ ეს საფეხბურთო ელიტაში ფართოდ გავრცელებულ-დანერგილი წახალისებისა და სტიმულირების ფორმაა.




ვეკითხებით ხელმოცარულ ჟოპოზიციას – ვინ დააჯილდოვა ღირსეული ქართველები ღირსების ორდენით? იქნებ სახელმწიფოს ლიდერთა ნაცვლად მათი ტრიუმფი საკადრისად კეზერაშვილმა, ხაზარაძემ ან ოქრიაშვილმა დააფასეს?

თუმცა, მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს მსგავსი კითხვის დასმა მათთვის, ვინც ოცნებას ინფრასტრუქტურის განადგურებაში სდებს ბრალს და ნიმუშად ზუგდიდის სტადიონის მწარე ხვედრი მოჰყავს, რომელიც 9 წელიწადია (ისევ 9 წელიწადი) ხელისუფლებამ ვერ ააშენა და დღეს პირუტყვის დასანაყრებლად გვევლინებაო.

ჯერ ერთი, ის რატომ გავიწყდებათ, რამდენი ახალი სარბიელი შეემატა სამშობლოს ბოლო წლებში, როგორი წარმატებით ვუმასპინძლეთ საერთაშორისო ფორუმებს და კიდევ რამდენ საშვილიშვილო პროექტს შეესხმება ხორცი უახლოეს მომავალში ვაზიანის 70-ათასიანი საფეხბურთო-სარაგბო მარგალიტის თამადობით?

რაც შეეხება ოდიშს, დავიჯეროთ, ანაკლიის აღორძინებისთვის „მკლავმოჭრილ" დიდოსტატს, „უპრაკონოდ" რომ მიითვისა საკუთარი პარტიისთვის „ლელოს" სახელი, ფული გაუთავდა, კერძო სექტორის სახით ოფიციოზს რომ ამოუდგეს გვერდით და საერთო საქმე, ბოლოსდაბოლოს, ლოგიკურად დაგვირგვინდეს? როცა საპიაროდ დასჭირდა, ხომ გაახარა წალენჯიხელი ბავშვები იუვენტუსის აკადემიის შექმნით?

სხვათა შორის, ზოგ-ზოგიერთებს არც ის უთაკილიათ, მეორე მხარისთვის ესაყვედურათ, ინტერნეტში ნაკრების ფოტო ოპოზიციის მომხრე ქოჩორაშვილის გარეშე გამოაქვეყნესო. ამ ერთუჯრედიანებს ვუპასუხებთ, რომ იმ დღეს „ქოჩორას" საერთოდ არ უთამაშია. თუმცა, შეაყარე კედელს ცერცვი...

# პავადმყოფი პატიმრის „შეტევითი“ ქინთვები



„პოლიტიკურმა პარტიებმა აუცილებლად უნდა იფიქრონ, რომ ყველა წყენა, წვრილმანი კინკლაობა, მით უმეტეს, პირადი ამბიცია, ყველაფერი გვერდზე უნდა გადაიდოს. რა თქმა უნდა, არც არჩევნები იქნება ჩვეულებრივი, ეს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები და ჩვენ არ შეიძლება, მოვიქცეთ ჩვეულებრივად, ჩვენ გვჭირდება ერთიანი სია, რომელიც მოიყვანს პროფესიონალებს მთავრობაში.

ამ წუთებში მიმდინარეობს პრესკონფერენცია ევროპარლამენტში, სადაც არის ზურაბ ჭიაბერაშვილი, დედაჩემი გიული და ასევე მას გვერდზე უდგანან ევროპარლამენტარები, მათ შორის ჩემი ძველი მეგობარი, რუმინეთის ყოფილი, ძალიან მაგარი პრეზიდენტი და ევროპარლამენტიც ითხოვს ჩემს გათავისუფლებას. არა იმტომ, რომ საქმე ჩემშია, საქმე არის პრინციპში, რომ პუტინს არ უნდა გაუვიდეს, აქ არ უნდა არსებობდნენ სინდისის პატიმრები. ყველანაირი პირადი ამბიცია გადავდე გვერდზე, როცა ჩამოვედი საქართველოში. ვიცოდი, რაზე მივდიოდი. როგორც შემიძლია, ვიღებ მონაწილეობას თქვენთან ერთად გულით, სულით, ჩემი მომხრეების მობილიზაციით იმაში, რომ ყველამ ერთად გავიმარჯვოთ. ახლა ამბობენ და მე არ მივიღებ ამას, რომ ყველა მთავრობა ასე იქცევა, სააკაშვილის მთავრობაც ბოლოს უკვე აქციებს აწყობდა. არასდროს ჩვენ არ მოგვიწყვია კონტრაქცია ოპოზიციისთვის. დიახ, ვაწყობდით საარჩევნო მიტინგებს, მათ შორის იყო წარმატებული და არცთუ ისე წარმატებული მიტინგებიც, მაგრამ ეს იყო საარჩევნო შეხვედრები. 2009 წელს, გაიხსენეთ, მრავალი თვე თბილისის ცენტრი გადაკეტილი ჰქონდათ კარვებს, არა მხოლოდ ძალა არ გამოგვიყენებია, არამედ მე თვითონ გავედი პრეზიდენტის სასახლიდან, გადავედი სულ სხვა შენობაში, ქალაქის შესასვლელში და დავუთმე მთლიანად ცენტრი მომიტინგეებს და მანიფესტანტებს. ჩვენ მაშინ დავუთმეთ მათ ყველაფერი“...

– მაქსიმალურად ყველანი ვემზადოთ ხელისუფლების ცვლილებისთვის, ის არის ერთი ხელის გაწვდენაზე. მონათა აღლუმში თქვენი ჩართვით და ძალით ჩამოყვანით ისინი გამცირებენ თქვენ. მომავალში ეს იქნება ძალიან დიდი სამარცხვინო აქტი. ერთი მხრივ, არის გულანთებული ახალგაზრდობა, მეორე მხრივ, ხელისუფლების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია, უსიტყვო მორჩილების და მონობის, ამას აკეთებდა ხოლმე ასლან აბაშიძე, მე არასდროს ვაკეთებდი. ჩვენი ამოცანა დღეს არის ერთიანობა და შეტევა. გამოწვევა ძალიან დიდია და მას უნდა დავახვედროთ როგორც არასდროს დიდი ტალღა“...

## სანთელი

# როცა ალალი ცრემლის ღირსი ხარ



### ნუგზარ გაბრიჩიძეს 75 წელი შეუსრულდებოდა...

26 აპრილი ნუგზარის დაბადების დღეა. ღირსეული და კაცთმოყვარე გახლდათ ბატონი ნუგზარი, რომელიც 62 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად, შემდგომ გენერალურ პროკურორად. საზოგადოებაში და სამეგობროში დატოვა დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია.

მართალია, ბატონი ნუგზარი ცამეტი წლის წინ აღესრულა, მაგრამ მის მიმართ საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული არ განელებულა. ამის დასტურია თუნდაც ეს მცირე, მაგრამ დიდი სიყვარულის დამტევი წერილი.

შენ ფიზიკურად წახვედი ჩვენგან, მაგრამ სულიერად ისევ ჩვენს გულებში ხარ და ჩვენთან იქნები, სანამ თუნდაც ერთი შენი მეგობარი იქნება ცოცხალი.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ და თენგიზ კუჭუხიძეები, რამაზ ხეცურიანი, როლანდ გაბრიჩიძე, თემურ მურღულია, მიხეილ სალაძე, ამირან ნიკოლეიშვილი.

# თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობის და ადევნების ბრალდებით იურისტი დააკავეს

ქუთაისში, იურისტი ჟურნალისტის თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობის და ადევნების ბრალდებით დააკავეს

„რუსთავი-2-ის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ქუთაისში იურისტი ლევან ჭელიძე დააკავეს. მას გამოცემა „ქუთაისი თუდეის“ ხელმძღვანელის, ჟურნალისტ სერგი ჩივაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობისა და ადევნების ფაქტზე წარუდგინეს ბრალი. შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგვიდასტურეს, რომ გამოძიება 115-ე და 151-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

# კაფე-ბარის სტუმრებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დიდძალი თანხა გამოსძალეს!



პოლიციამ ბათუმში ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით 2 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1975 წელს დაბადებული ს.ჩ. და 1976 წელს დაბადებული ჰ.ე. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, რომლებიც ბათუმში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში მუშაობდნენ, ძალადობის გამოყენებითა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ამავე კაფე-ბარის სტუმრებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მათი შეკვეთისთვის შეუსაბამოდ დიდი თანხა -267 000 თურქული ლირა და 5 700 ლარი გამოსძალეს.

სამართალდამცველებმა ს.ჩ. და ჰ.ე. ბრალდებულის სახით დააკავეს.

# იტალიაში ქართველი დააკავეს

იტალიაში, სან დორლიგო დელა ვალეში დააკავეს ქართველი, რომელიც მიგრანტების უკანონოდ გადაყვანაშია ეჭვმიტანილი.

იტალიური მედიის ინფორმაციით, პოლიცია აედევნა ეჭვმიტანილს, რა დროსაც ქართველმა მანქანის მართვაზე კონტროლი დაკარგა და გზიდან გადავარდა. მედიის ცნობით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. როგორც ცნობილია, მიგრანტებმა გაქცევა შეძლეს და მათ პოლიცია ეძებს.

# საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა

ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის და სამი ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ბიბლიოთეკებიდან ძვირადღირებული წიგნების ქურდობის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა, – ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში შვეიცარიის, საფრანგეთის და ლიეტუვის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებები ათეულობით ლოკაციაზე ჩაატარეს.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ფართომასშტაბიან ღონისძიებაში, რომელიც საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა, ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 100-ზე მეტი თანამშრომელი მონაწილეობდა.

უწყების ცნობით, ღონისძიების ფარგლებში ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების და მათთან დაკავშირებული წიგნების სარეალიზაციო ადგილების ჩხრეკა განხორციელდა. ამოღებულია დიდი ოდენობით ფულადი თანხა და ასეულობით წიგნი, მათ შორის, ერთ-ერთი დაკავებული პირის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია, სავარაუდოდ, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოპარული, მე-19 საუკუნეში გამოცემული ფრანგულენოვანი წიგნი. პროკურატურის განცხადებით, ამ ეტაპზე დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი.




# ბზობა, უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში



28 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბზობას, ანუ ბაიაობას უწოდებენ. ეს ის დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირას!

მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს 'მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა რომელი ხარ მაღალთა შინა!“

...ღმერთი თითოეულ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსელის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხსურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს – მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

# გულს უხარია!

დიახ, მიხარია, როდესაც ჩემს ქვეყანაში აღმშენებლობა და კეთილი საქმეები ხორციელდება, ქვეშეთი-კობის 9 კმ სიგრძის გვირაბი და მიმდებარე გზები ეს ხომ ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, მის პრესტიჟს აამაღლებს. ამგვარი ინოვაციური, უიშვიათესი, საბურღი აპარატი ალბათ სხვაგანაც გამოყენებული იქნება ჩვენს ქვეყანაში, გამომდინარე ჩვენი ურთულესი რელიეფიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ადრე დაიწერა გომბორისა და თელავის დამაკავშირებელი გზის შესახებ.

საინტერესოა, ინფრასტრუქტურის სამინისტრო კონკრეტულად სად გეგმავს კიდევ ამგვარი მექანიზმის გამოყენებას? ასეთი უნიკალური აპარატის გამოყენება ხომ ძალიან სასარგებლოა!

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.



# კახის სახელმწიფო ქართული დასი რუსთაველის ეროვნულ თეატრში

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აზერბაიჯანში მოქმედმა ილია ჭავჭავაძის სახელობის კახის სახელმწიფო ქართულმა დრამატულმა თეატრმა რუსთაველის ეროვნული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოადგინა ვახტანგ ანდიაშვილის „დაცემული ანგელოზის უკანასკნელი თავშესაფარი“. საზეიმო საღამო კახის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის აღდგენას მიეძღვნა.**

საღამოს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, ილია ჭავჭავაძის სახელობის კახის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ზიტა ხალილოვა, ქართული თეატრალური სამყაროს წარმომადგენლები, ქართველი და აზერბაიჯანელი მაყურებლები ესწრებოდნენ.

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა დამდგმელმა რეჟისორმა ლერი შიოშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობენ: ლაშა ანდრიაშვილი, ვიტალი სუყაშვილი, მაყვალა ემრაშვილი, ნინო ჭაჭაშვილი, რაულ ბარიხაშვილი, ლაშა ასლამაზაშვილი და გვანცა ყიყიშვილი.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის პირველ ეტაპზე ილია ჭავჭავაძის სახელობის კახის სახელმწიფო თეატრმა თბილისში გასტროლისას რუსთაველის ეროვნული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სპექტაკლები ორი დღის განმავლობაში გამართა. პირველ საღამოს, რეჟისორმა ნაილი თოფალაშვილმა ნიკოლოზ წულუკიძის იგავ-არაკებზე შექმნილი „სიბრძნის ქარავანი“ წარადგინა. პროექტის მეორე ეტაპზე თბილისიდან ჩასული პროფესიონალები აზერბაიჯანის ილია ჭავჭავაძის სახელობის კახის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში ხუთი დღის განმავლობაში ჩაატარებენ მსახიობის ოსტატობის, მეტყველების, ვოკალის, პლასტიკის, თეატრის ისტორიის მასტერკლასებს.

კახის ქართული თეატრის საქმიანობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. თეატრი სპექტაკლებს მართავს ქართულ ენაზე და აზერბაიჯანში მცხოვრებ მოსახლეობას ქართულ ენას შეასწავლის. ამასთანავე, თეატრი პოპულარიზაციას უწევს ქართულ კულტურას.



# სახლი, სადაც ელენე ახვლედიანის სამყარო ზეობს



**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი გამოჩენილი ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსის, თეატრისა და კინოს მხატვრის, ელენე ახვლედიანის, სახლ-მუზეუმს ესტუმრა და სამინისტროს ინიციატივით მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს კულტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურული განვითარების დეპარტამენტის უფროს გიორგი ბოცვაძესთან ერთად გაეცნო.**

ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შემადგენლობაშია და მისი რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება 2022 წელს იქნა მიღებული.

ამ ეტაპისათვის შესრულებულია სამუშაოების 70%. საწყის ეტაპზე, განხორციელდა სადემონტაჟო სამუშაოები, ასევე აივნისა და ტიხრების კონსტრუქციული გამაგრება, რის შემდეგაც დაიწყო ახალი კედლების მონტაჟი. დასრულებულია მუშაობა საინჟინრო კომუნიკაციებსა და წყალმომარაგების სისტემაზე. მოწესრიგდა ელექტრო და სავენტილაციო სისტემები; მოწესრიგდა სველი წერტილები. ამჟამად ილესება ჩამონგრეული ნაწილები და შენობა მზადდება სამღებრო სამუშაოებისათვის. ბოლო ეტაპზე იგეგმება იატაკის განახლება, კედლების შეღებვა და სანათების დაკიდება. შედეგად, შიდა ინტერიერი სრულად იქნება რეაბილიტირებული.

პროექტისთვის გამოყოფილია 376 000 ლარი. მისი დასრულება მიმდინარე წლის ზაფხულში იგეგმება. აღსანიშნავია ისიც, რომ სივრცეს, სადაც ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რეაბილიტაცია კულტურის სამინისტროს მიერ ავთენტიკურობის სრული დაცვით ჩაუტარდა. ამასთანავე, პროექტი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სამინისტროს ინიციატივის განხორციელებამდე სახლ-მუზეუმის ექსპონატები აღიწერა, შეიფუთა და ისინი სამუზეუმო სივრციდან დროებით ფონდებშია გადატანილი.

# საქართველოში სრიალი ეგზოტიკური, ხელმისაწვდომი და თავგადასავლებით სავსეა




**„კავკასიაში მდებარე ამ პატარა ქვეყანას პოპულარულ სათხილამურო მიმართულებად ჩამოყალიბების დიდი პოტენციალი აქვს. ქართველები სტუმართმოყვარეები არიან, ფასები ხელმისაწვდომია და მთები კიდევ შესანიშნავი. ვინ იფიქრებდა საქართველოში სათხილამუროდ წამოსვლას? თუმცა სვანეთში, თეთნულდზე ფრი-რაიდის მსოფლიო ტურის ჩატარებით საქართველო პროფესიონალ მოთხილამურეთა რუკაზეა წარმოდგენილი და უკვე ცდილობს მოთხილამურეთა დიდი ნაკადის მოზიდვას“** – წერს Le Figaro-ს ჟურნალისტი მეთიუ როსი.

მეთიუ როსი აღწერს კავკასიონის მთებს, მესტიის, ჰაწვალის, თეთნულდის, გუდაურის, ბაკურიანის, გოდერძის სამთო კურორტების ინფრასტრუქტურას, სერვისებს, ფასებს და საჰაერო მარშრუტებს თუ როგორ შეიძლება ევროპული ქალაქებიდან საქართველოში მოხვედრა.

**ჟურნალისტმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა. მეთიუ როსი სვანეთში ფრი-რაიდის მსოფლიო ტურს დაესწრო და საქართველოს სამთო კურორტები დაათვალიერა.**

# ვენეციის დასათვალიერებლად ბილეთი უნდა შეიძინო

**25 აპრილიდან ვენეციაში ერთი დღით ჩასულ ტურისტებს, რომელთა ასაკიც 14 წელს აღემატება, 5 ევროს გადახდა მოუწევთ. 2024 წელს თანხის გადახდა ტურისტებს მხოლოდ 29 ყველაზე დატვირთული დღის განმავლობაში მოუწევთ – საუბარია უქმეებზე და მაისიდან ივლისის ჩათვლით დღესასწაულებზე.**

გადახდა ქალაქში შესვლისას უნდა განხორციელდეს. ბილეთის ყიდვა, რომელიც QR-კოდის სახით იქნება ხელმისაწვდომი, ადგილზე არის შესაძლებელი. ვენეციაში ბილეთის გარეშე შესვლისთვის ტურისტს ჯარიმის გადახდა მოუწევს, რომლის ოდენობაც 50-300 ევროა. ვენეციის მთავრობა ამ ზომის შემოღებას ჯერ კიდევ სექტემბერში გეგმავდა. ასე მათ სურთ დაარწმუნონ ტურისტები, რომ ვენეციას ნაკლებად დატვირთულ დღეებში ესტუმრონ. ერთი წლის განმავლობაში ვენეციაში, რომლის მოსახლეობაც 50 ათასს შეადგენს, 3,2 მილიონი ტურისტი ჩადის.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს 29 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6859; ევრო - 2.8804;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3603;
100 რუბლი - 2.9062; თურქული ლირა - 0.0827;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5826;
1000 სომხური დრამი - 6.9000

**ამინდი 26 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +29 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +34 |
| თბილისი: | ღამე +15, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge